

გაზეთი ბეჭედი, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

60 თეთრი №104 (1130) 19 - 20 თებერვალი, 2015 წელი



ორშაბათი

მთხვაბათი

პარასკევი



გვ. 3-4

## რა აკავშირებს ალანანიას პარტიიდან ნაგოსულ დავით ზალკალიანს პრემიერ ღარიბაშვილთან

რაცომ მიიღო პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება, ედაპრაკება თუ არა თუა წუღუკიანს და რას ფიქრობს დევან მიქედაძის უცნაურ გარდაცვალებაზე მისივე ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

არა-რეპულებრიკი ინტერვიუ

ქართული ღვინის ღლეაბს აერიკის შეართებული შტაბების სამი ქალაქი მასინელობს



ჩინეთის გარდა, ქართულ ღვინოს ექსპორტზე იაკონიაში, აშშ-ში, კანადასა და აღმოსავლეთ ევროპაშიც გაიფანენ

გვ. 6

## პეკინიდან ბრიუსელამდე



გვ. 7

ირაკლი ღარიბაშვილი: „აბრეშუმის გბის ფორუმი ყვედასთვის სარგებდის მომცანია!“

## ნაციონალური ხელისუფლების რუსული პნებები



გვ. 8

ვინ და როგორ გადაფიქრებინა წაციონადებს გაბსადენის „გაბპრომისთვის“ მიყიდვა

## მუხრან ბურჭულაძე: „შეუძლიათ, ქვების მესროლონ!“

იქნება თუ არა წაციონადების საფედიგი და ვინ დააფინანსებს წემო ბურჭუდაძის შვიდის ახად პარციას



გვ. 5

140 000 დარი, როგორც სამართდიანობის აღდგენის ფასი ხიდაშედის უწყებისტვის

გვ. 10

## თავდაცვის სამინისტრო დაზარალებული მოქალაქეების წინააღმდეგ

როგორ გადაარჩინა 60 წლის ნაციონალმა ქალბატონმა ანაღაზარდა საყვარელი საშუალო პატიმრობას



პატიმრის ღლეური ბონი და კდაიდი ქართუდაც

გვ. 9



დიტო ბალოვანი

დიდღად თავაზიანი გაბრიელი უახლოვდებოდათ, აჰ, როგორ ეცვა, „რაა ახალი, ბატონო თოთ, როგორ მოიარეთ უბედურედი ადგილსამყოფელი ჩვენი?“ „ქარვად, ჩემო გაბრიელ...“ „ძალიან კარგი, - თქვა გაბრიელმა, - ენაჭარტალა ხომ არ არის კეთილი თანამგზავრი თქვენი?“ „არა, რას ბრძანებთ“ - ნამოიძახა თოთ-ექიმმა, დომენიკომ კი გაიღიმა — ეცინებოდა, როგორ არა, აბა, კი... „სიტყვა ფრინველი კი არაა, - აღნიშნა შავტუხა გაბრიელმა, და ძალიან გრძელი ოქროსფერი თმის ღერი ფაქიზად მოიცვალა მხრიდან, ერთხელ გაშვებული ვეღარ დაიჭერთ“. რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, ჩემო გაბრიელ...“ „და ის ანდაზაც არაა სწორი, - თქვა გაბრიელმა, — ორმა იცის, ღორმაც იცისო. არაა ასე, ბატონო თოთ?“ „სიმართლეს ბრძანებთ“.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

გვარამია და ალისტრახო — სიყვარული გაზსადნეში



თინათინ სიჭინავაძის ნახატი

არადა, სწორედაც რომ პირიქით გახლავთ — ორმა იცის, ღორმაც იცის. ეს ასეა, ნამდვილად ასეა, მითუმეტეს მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც ვისაც არ დაეზარებოდა, ყველა რაღაცას ავრცელებს და საბოლოოდ ისე გამოდის, რომ ყველამ ყველაფერი იცის. მთავარი კი ის არის, ვინ რას ფიქრობს, ვის რა დასკვნა გამოაქვს და ვინ როგორ იყენებს - სათავისოდ თუ საზოგადოდ.

და, კიდევ, მერე, დრო რომ გადის, ვინ როგორ იყენებს იმას, რომ ვიღაცამ საერთოდ არ გამოიტანა დასკვნა, ვიღაცამ კი სათავისოდ გამოიყენება გადამწყვიტა.

ვიღაც-ვიღაცებს კი საერთოდ ავიწყდებათ რაღაც-რაღაცები და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

პატივმა არ ნიშნავს დაიცვებას, დაიცვება კი ნიშნავს იმას, რომ კვლავ შეიძლება მოხდეს ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. კვლავ მოხდება, უფრო დიდხანს გაგრძელდება და შედეგები იქნება სამიწის.

მაგალითად, შურაბეფიციუსი, ცემის, ნამების, გაუპატიურების კადრები. ის კადრები, რომლებიც ერთხელ უკვე ვნახეთ დახურულ ჩვენებაზე. გვაჩვენეს, რათა შემდეგ მოგვეყვალა მათთვის, ვისაც ჰქონდა საშუალება, უფრო სწორად — ბედნიერება, არ ენახა და არ განეცადა. მაშინ, ალისტრახო-გვარამიებმა და ლომჯარია-კოჭორიძეებმა პროტესტი გამოთქვეს, რატომ გვაჩვენებთო და პასუხიც მიიღეს — სხვებს რომ მოუყვეთ. ეს იყო პასუხი და ახლა, სამი წლის შემდეგ, ვფიქრობ, ეს პასუხი იყო არასწორი.

ალისტრახო-გვარამიებმა და ლომჯარია-კოჭორიძეებმა ისედაც მშვენივრად იცოდნენ ყველაფერი, ახლობლობა და ურთიერთობა კი მხოლოდ მათთან აკავშირებდათ და აკავშირებთ, ვინც ასევე უწყობდა, თუ რა ხდებოდა და რისთვის ხდებოდა. იცოდნენ და დუმდნენ, დუმილი კი, ზოგადად, თანხმობის ნიშანია, ასეთ დროს კი — თანამონანილოება.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, ბევრს დაავიწყდა და თავისდაუნებურად თანამონანილე გახდა თუ არა იმისა, რაც ხდებოდა, იმის მინც, რაც შეიძლება მოხდეს, თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა და ყველას თავისი ადგილი არ მიეჩინება. „მე არ მქონდა ნანახი ეს კადრები. ეხლა ვნახე პირველად და ეხლა მიგხვდით, რატომ ჰქონდათ უძმომისი რეაქცია იმ ჩემს კოლეგებს, ვინც მაშინ დახურულ სხდომაზე ნახა ეს კასრების კადრები... თავი აბრკივდა და გული გამიხდა ცუდად. ვნახობ, რომ გავხსენი და ვნახე, აღარ დააშვაროთ, აღარ გაავრცელოთ, ცოდოა ის ნანახები ხალხი, ვინც ვიდევოშია“, — დაწერა გასულ კვირაში ინგა გრიგოლიამ.

ხოლო მე გირჩევთ და მოგიხილებთ: გახსენით, გაავრცელოთ, ყველას მოუყვეთ, დაფიქრდით და დააფიქრეთ სხვები, გაიხსენეთ, რა ხდებოდა, ნარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა და მიხვდებით, რა მოხდება, თუ ერთიან ნაციონალურ მოძრაობად ნოდებულნი დანაშაულებრივი ბანდა კიდევ ერთხელ მოახერხებს ხალხის გაბრიყვებას, შემდეგ გაჩუმებას, შემდეგ დაჩემობას და წამებას. იქნება ჩმორთა დუმილი, სისხლიანი ნაკვეთების წაშლა სისხლით და საფასადე საღებავით. და წამების მსხვერპლთა ხმებს შადრევნის ხმაური ჩაახშობს. ჯერჯერობით კი, ამ ხმების ჩახშობას ასე ცდილობენ:

„ადამიანის წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ ყურნალისტური ეთიკის ქარტის საბჭო მედიასაშუალებებს მიმართავს და განცხადებას ავრცელებს:

„ონლაინმედიათა გავრცელება ვიდეომასალა სათაურით „როგორ აწამებენ რეფორმატორები ადამიანებს ჩვენების მიღების მიზნით“. ვიდეო, ქართულმა მედიასაშუალებებმა ერთ-ერთი უკრაინული ვებგვერდიდან აიღეს. გამოქვეყნებულ კადრებზე ასახულია მამაკაცის წამება, რის შემდეგაც ის გამოძიებულს ჩვენებას აძლევს... უფრ-ნალისტური ეთიკის ქარტის საბჭო მიმართავს მედიასაშუალებებს, მოერიდონ ადამიანის წამების ამსახველი ვიდეომასალის ამგვარი ღირსების-შემლახველი ფორმით გავრცელებას; განსაკუთრებული სიფრთხილით მოუკიდონ გავრცელებული წარმომავლობისა და ანონიმური წყაროების მიერ ინტერნეტში ატვირთული მაკომპრომეტირებელ მასალებს. ქარტის საბჭო ხაზს უსვამს, რომ მამაკაცი საარჩევნო წლის განმავლობაში, გამწვავებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, მედიის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გახდება“, — ნათქვამია განცხადებაში“.

ესენი არ არიან უფრნალისტები, მათ წარმოდგენა არ გააჩნიათ ეთიკაზე. მათთვის ეთიკა არის ის,

პარტიებმა ამ კუთხით წარმატებას ეკონომიკასა და დასაქმებაზე საუბრით უნდა მიაღწიონ, რადგან ეს საკითხები მოსახლეობას ყველაზე მეტად ანუ-ხებს“, — რომ არ გავერცელებინა ჩემს მეგობარ სააგენტოს, ისედაც ვიცოდი, ქ-ნი თორნტონი ასე რომ იტყოდა, რადგან ასე იტყოდა ყველა ტუტუცი, ევროპა კი, დიდი ხანია ჩვენი მხოლოდ ტუტუცების გზავნის და საკვირველი ის არის, ამდენი ტუტუცის, შტერისა და იმბეცილის შემხედვარე, ჯერ კიდევ ვეროპისკენ რომ ვიცქირებით. თუმცა, თუ კარგად დაფიქრდებით, ეს სულაც არ არის გასაკვირი. ჩვენი არჩევანი ხომ უაღრესად შეზღუდულია — ან დასავლეთი, ან რუსეთი. ლოგიკურია, რომ

როცა მხოლოდ მათ აქვთ აზრის გამოთქმის უფლება, მხოლოდ მათი აზრია გასათვალისწინებელი, რადგან სხვა ყველა ბოგანო და გაუნათლებელია და ვინც მათთან არ არის, მათი მტერი, კრემლის აგენტი და პუტინის მონაა. მათ ხელშია საპარლამენტო უმცირესობა, საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ჯგუფი, არასაპარლამენტო ოპოზიციის მოზრდილი ნაწილი, ფაქტობრივად ყველა ტელევიზია, ბევრი გაზეთი, უამრავი ვებგვერდი, აუდიოსამსახური, საკონსტიტუციო სასამართლო, სახალხო დამცველის ოფისი, ნიუთონი ინტელიგენცია, შავი სამყარო, ყვითელი პრესა, ვაიციფერი გაგება, ცისფერი ელიტა და მწვანე კუბორები.

მაგრამ ერთი თავისუფალი ადამიანი ბევრად ღირებულად, ვიდრე ვიგინდარათა მთელი ეს გროვა, რომელიც მაშინვე ბუჩქებში იშლება, როგორც კი ერთ კონკრეტულ კითხვას დაუსვამ — „რას ნიშნავს „მამა-ზე უკეთესი?“

გასულ კვირაში კითხვებზე პასუხები გამოქვეყნდა. ამ ქვეყანაში კითხვები ისევე ენდაი სვამს, მაგრამ ის, თუ ვინ სვამს ამ კითხვებზე პასუხს, კვლავ უცნობი რჩება. ბევრი წელი გავიდა, უკვე მერამდენე კვლევას აქვეყნებს აღნიშნული ორგანიზაცია და ჩემს უამრავ მეგობარს, ახლობელს და ნაცნობს შორის ვერავინ ვნახე ისეთი, რომელსაც ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა ენდაიის მიერ ჩატარებულ კვლევაში. უფრო მეტიც — ვერავინ ვნახე ისეთი, ვისაც ენდაიის კვლევებში ჩართული ნაცნობი ეყოლებოდა.

დრო გადის, კვლევები ქვეყნდება, ხალხი ღელავს, ქვეყანა ბადევია.

„ამ კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ქართულ ოცნებას“ საზოგადოების ნდობა და მანდატი არ აქვს, მან ქვეყანა კრიზისში შეიყვანა. ეს არის კიდევ ერთხელ ხაზგასმა იმისა, რომ ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. ამ კვლევამ დაადასტურა ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ის კონკრეტული პარტია, რომელსაც გააჩნია გეგმა, ხედავ, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა ამ მდგომარეობიდან და ჩვენ ვაპირებთ ამ გეგმის განხორციელებას“, — კვლევის გამოქვეყნების შემდეგ განაცხადა აკაკი სიღდერის-ძე მინაშეილიმა.

სინამდვილეში კი, არანაირ კვლევა-ძიებას და ჩაკითხვას გამოკითხვას არ საჭიროებს ის, რომ „ქართული ოცნების“ დღევანდელი მაქსიმუმი სწორედაც რომ 12 პროცენტია და რომ პოლიტიკურ გაურკვევლობაში მყოფთა ნილი არის უზარმაზარი და ეს გაურკვევლობა მხოლოდ ერთს უკავშირდება — მომავალ არჩევნებში ნაციონალური ნაციონალური წინააღმდეგე მისცენ თუ მანამდე, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ნაციების დედებს მიაკითხონ საქმიანი ვიზიტით, საქმის გამიძახების შემდეგ კი მეოცნებებს ეწვიონ და თავში წამოარტყან — „რავე ტყვილა გაჭმევთ პურსა“.

„პარტიები, მომავალი ერთი წლის განმავლობაში უნდა შეეცადონ, თავის მხარეს გადაიბირონ ის ამომრჩევლები, რომლებსაც ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ აქვთ, — ამის შესახებ უფრნალისტებს NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა, ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ განუცხადა. მისივე განმარტებით,

შტერსა და მტერს შორის ისევე შტერს ვირჩევთ და თავდაცვ ვშტერდებით.

ერთ-ერთი, რაზეც გასულ კვირაში ვშტერდებოდით თუ თავს ვიშტერებდით, „გაზპრომს“ თემა იყო. ერთ-ერთი, რაც დაგვავიწყდა თუ დავივიწყეთ, ის არის, აგვისტოს ომის შემდეგ ნაცბოზანდა რუსეთისთვის ენგურჰესის მიყიდვას რომ აპირებდა, ხოლო რუსეთის მოქალაქე კულტურის მინისტრი, მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი, ლოქო ქინძმარში გრიგოლ ვაშაძე თავის რუს კოლეგას ვედრებოდა, სუბსიდიებს ჩამოვიყვანთ და კინტაურის ვაქცეებით, ნიუპარაქეს გამოგვავიწყებთ და „კალინკას“ ვამღერებთ.

კინტაური ნიკა გვარამიამ იცეკვოს, „კალინკისთვის“ ხათუნა გოგორიშვილმა მოიღეროს ყელი, ხოლო ჩვენ კინტაურისა და „კალინკის“ ფრანგულ ნახავს გაეცნოთ: „მისტრალის“ ტიპის ვერტმფრენშიზიდების შესახებ კონტრაქტის გაუქმების მიუხედავად, საფრანგეთს იმედი აქვს, რომ რუსეთს ახალბომბდებს მიჰყიდოს. როგორც „სამომავლოდ პრესი“ იტყობინება, ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა. „დალაგდა ურთიერთობა რუსეთთან, რომელმაც კონტრაქტის გაუქმებაზე თანხმობა განაცხადა. ვფიქრობ, ახალი ბომბდების შესახებ შეთანხმებას მივალწევთ“, — განაცხადა ოლანდმა. საფრანგეთის პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, იქნება ეს სამოქალაქო თუ სამხედრო ბომბდები. რუსეთმა საფრანგეთთან „მისტრალის“ ტიპის ვერტმფრენშიზიდების შექმნაზე კონტრაქტი 2011 წელს დადო. პირველი ბომბდები პარისს 2014 წლის ნოემბერში უნდა გადაეცა, თუმცა უკრაინის კონფლიქტის გამო საფრანგეთმა გადაწყვეტილება გააუქმა“.

მოკლედ, ჩვენ არავინ არავფრს გვეკითხება და ეს არის პრობლემა. ჩვენ ერთმანეთს არავფრს ვეკითხებით და ერთმანეთს არ ვუსმენთ — ეს არის რეალობა და როცა ჩვენი ხორცი, კვერცხი და ბუნდა აღარ იქნება, თითოთოროლასთვის იქნება ეს ტრავედია, თორემ მსოფლიო პრესა დანერგოს, ჩვენს თვალწინ დარეკა ვათამამდაო.

ამაზე რას იტყვით, ბატონებო? — „გაზპრომმა“ უკრაინისთვის გაზის მიწოდება განახალა. როგორც „რია ნოვოსტი“ იტყობინება, ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელმა აღექსეი მილერმა უკრაინის ტენდერებს განუცხადა. მილერის თქმით, გაზის მიწოდება მას შემდეგ დაიწყოს, რაც უკრაინულმა „ნავთოგაზმა“ „გაზპრომს“ 234 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადებინა. სექტემბრის ბოლოს უკრაინა, რუსეთი და ევროკავშირი შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში რუსეთი უკრაინას ბუნებრივ გაზს მიყიდოს“.

ძალიან სერიოზული საკითხებია, მნიშვნელოვანი თემებია, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, რამე სასაცილო არ თქმულიყო? მაგალითად: „გაზპრომის“ გაზს აქვს პუტინის სუნი. ვინც ამას ვერ ხვდება, არის ქვეყნის მტერი ან უგუნური. „გაზპრომი“ არის ის სიმსივნე, რომელიც მოვიძორეთ 2006 წლის შემდეგ“, — განაცხადა გოგა ხაჩიძემ. აქციაზე მყოფი ნინო დანელიანი თქმით კი, საქართველოს, როგორც ქვეყანას „გაზპრომის“ პირობებში რუსეთის მხრიდან მანტაჟის საფრთხე ეტუქება. „ჩვენ არ გვინდა, რომ გავხდეთ რუსეთის ხელში მანტაჟის საგანი,

არ გვინდა, რუსეთმა ჩვენზე, როგორც ქვეყანაზე გამოიყენოს მისი პოლიტიკური იარაღი, რომელიც არის „გაზპრომი“. 2006 წელს ისტორიული გამოცდილება გვაქვს, როგორ გავვითარებთ გაზის სამართალი“, — განაცხადა ნინო დანელიამ. „ტაბულას“ დირექტორის, თამარ ჩერგოლივიშვილის განცხადებით კი, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს ძალაუფლების უზურპაციას და ქვეყნის საკუთარ ბიზნესად გადაქცევას“.

ხომ ვამბობდი, ნაციონალური მოძრაობა კრემლის პროექტია-მეთქი? ჯერ კიდევ როდის ვამბობდი — 2004 წელს. ა, ბატონო, ხომ დაამტკიცა გოგა ხაჩიძემ, რომ პუტინში აქვთ თავი შერტული და ნელ-ნელა პუტინის სუნიის სპეციალისტებადც ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება თამარ ჩერგოლივიშვილსა და ნინო დანელიას, რამდენიმე წლის წინ გიგა ბოკერიას ვურჩიე, მეტი ცოლი აღარ მოიყვანო-მეთქი და რა ვიცი, რა ვიცი... თუ დამიჯერებს, მისთვის იქნება უკეთესი.

შსს-სთვის უკეთესი იქნებოდა, ჩერგოლივიშვილი არ დაეჭირათ, მაგრამ შსს ისე მოიქცა, როგორც ჩერგოლივიშვილისთვის იყო უკეთესი — დაიჭირა. ამდენი კვირტი ერთად როგორ შეიყარა?

იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ ჩემ რჩევებს. მახსოვს, ამ სამი თუ ოთხი წლის წინ ბიძის კართან მე, ჩემ მეზობლებს და ნახევარ თბილის „ტაბულას“ დაგვხვდა. მაშინ იყო, რომ განცხადებდა, გთხოვთ, ჩემს კართან ნაგავს წუ დაყროთ-მეთქი და მართლაც აღარ დაუყრიათ. ახლა, ბიძინა ივანიშვილს უნდა ვთხოვო — პარლამენტში ნაგავს წულარ დაყრო, თორემ ენდაიის მიერ გამოკითხულ 40 პროცენტს სრულად ჩამოყალიბებული ანტინაცბოზანდური აზრი გააჩნია, უბრალოდ, ოცნების ნაკვიდან ჰაერწვეთივანი გზით გავრცელებული სიმყარე საარჩევნო უზნაძე მიღწევისთვის და ანტინაცბოზანდური პოზიციის დაფიქსირებისთვის მთავარი ხელისმეშველი ფაქტორია.

„ახალი მემარჯვენიები“, „ევროპელი დემოკრატიები“, „ევროპულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფალი საქართველო“, „თავისუფლება“, „ლეიბორისტული პარტია“, „რეფორმატორები“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ — ამ ღრმად (ძალიან ღრმად!!) პატივცემულმა ორგანიზაციებმა გასულ კვირაში თავისუფალი მედიის მხარდაჭერი განცხადება გაავრცელეს და რატომაც, „რუსთავი 2“-ს ახსენებდნენ. ანუ, ფიქრია ჩიხრაძე, ბაჩუკი ქარადავა, კახა კუკავა, შალვა ნათელაშვილი, ისრა ქვარცია, კომკავშირელი როა... შო, ლღონტი, და გიორგი თარგამაძე გვარამია-დონაძის თავყვანსმცემლებად მოგვევლინენ. თქვენ კი მოგვევლინათ არმაგედონის ზანგი და ალისტრახო როგვადექ!!!

როდის აქვთ ვახდა „რუსთავი 2“ თავისუფალი ტელევიზია და როდის აქვთ ვახდნენ „ახალი მემარჯვენიები“ უმნიკვლოები?

გასულ კვირაში გორგი მარგველაშვილმა თავის პოლიტიკურ მრჩეველად „ახალი მემარჯვენების“ თავმჯდომარე, ფიქრია ჩიხრაძე დანიშნა და „სამანიშვილის დედინაცვალი“ გამახსენა. პლატონიც ევრე ეძებდა სამჯერ განათხოვარს და უშვილოს, ფაქტობრივად — უმნიკვლოს.

„სანოდ წყარომ მიიხარა, გოგა ხაჩიძემ ფიქრია ჩიხრაძეს უსუნა და ასე თქვა, მამუკა კაციტაძის კომისიის სუნი უღისო.

რაჭველი რომ ვამამაძალდედა... „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, თურქი ხალხისა და თურქეთის პროფკავშირების მხარდასაჭერად, თბილისში მდებარე თურქეთის საელჩოსთან აქციაში მიიღეს მონაწილეობას. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებთან აცნობეს, დღეს, 12 ოქტომბერს, 17:30 საათზე პროფკავშირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ წევრებთან ერთად, სოლიდარობის ნიშნად შეიკრიბებიან და ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლენას დაგმობენ“, — ესეც იმამემატყობინა, ძმამ.

თუ არ ვცდები, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საკონტროლო პაკეტს ამჟამად ირაკლი პეტრიაშვილი ფლობს.

რაჭველი თუ ვამამაძალდედა... და სად არის დავით გამყრელიძე? მის გაუჩინარებასაც კაციტაძის კომისიის სუნი ხომ არ უღის და ისა... მომავალ საპარლამენტო არჩევნებსაც კაციტაძის კომისიის სუნი ხომ არ აუვა?

საერთოდ, მე, მწვადის სუნი მომწონს, მაგრამ უკვე შნ წელია, ყოველი ოქტომბრის მესამე შაბათ-კვირას ვცდილობ ქალაქში არ გამოვიდე, მწვადი და ქალაქი რომ არ შემეზიზლოს.

ჩ.ქ.ე.ა. (ჩვენი ქალაქის ეგზოში ამბავი) „ოლონდ ეგ გადაგვიჩინებ, ბატონო თოთ, — თქვა მესამემ და, სადღაც ზურგსუკან გაფაციცებით მიეპყრო მთელი თავისი ყალბი არსება, რაღაცნაირად, ზეპირად ლაპარაკობდა, — თან, სტუმარი იყო და, მოგხსენებთ ჩვენი ქალაქის ეგზოში ამბავი — ვის დააჯერებ, არ მონადლესო, და ეგ რომ მიიკვლოს თუნდაც ძალიან მშვიდი გარდაცვალებით, ხომ დაგვჭრეს ყველას კეთილი თავი, მოგვამობენ და, გვიშველით რამე, ოთო-ექიმო, გთხოვთ გვინყალო-ბოთ ყოველნაირი განსწავლულობა და ცოდნანი აურაცხელი თქვენი“.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)



კანონი კავშირები

...აუდიენცია მოსაშვილის ქუჩაზე მაქვს, ოღონდ პრემიერთან კი არა, ლევან მიქელაძის ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან. სხვათა შორის, სახლი, სადაც ირაკლი ლარიბაშვილი ცხოვრობს, დავით ზალკალიანის სიმაგრის აშენებულია. ჰოდა, „ქოციონალი“ რომ ვიყო, რაღაცებს მივებ-მოვებამდი და ერთ მსუყვე ჭორსაც „გამოვაცხოვდი“... ისე, „ჭორიზმი“ უცხო, თურმე, არც დიპლომატიისთვისაა, თუმცა მე და დავით ზალკალიანმა კი არ ვიჭორავეთ, არამედ, საინტერესო თემებზე ვიუბნეთ და, ვფიქრობ, გემრიელი პროდასავლური არა-ჩვეულებრივი ინტერვიუც გამოგვივიდა. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რომ მუშრამან დუმბაძე ვარ და გეუბნებით: ვინც ამ ინტერვიუს არ წაიკითხავს, თვალეები „გაუხმეს“-მეთქი... და კიდევ, აუცილებელი გაფრთხილება: ამ ინტერვიუს წაკითხვა ევრაზიის ტენიონების ანუ იმ ტიპებისთვის, ვისთვისაც მზეც, მთვარეც და, საერთოდ, მთელი გალაქტიკაც პუტინია, ერთობ საშიშია!!!

— ბატონო დავით, სიმბოლურია — პრემიერის მეზობელი ხართ...

— (იღიმება) ამაში სიმბოლური არაფერია და ყველაფერი შემთხვევითი მოხდა: ოფისისთვის ფართს ვეძებდით, რამდენიმე ვნახეთ და ყველაზე კარგი ვარიანტი ეს აღმოჩნდა... სხვათა შორის, ის სახლი, სადაც პრემიერი ცხოვრობს, ჩემი სიმაგრის აშენებულია...

— ესეც კიდევ ერთი სიმბოლური დამთხვევაა. საერთოდ, პოლიტიკაში, მით უმეტეს, ქართულში სიმბოლოებს დიდი მნიშვნელობა აქვს...

— (ისევ იცინის) მხოლოდ ჩემი სიმაგრე კი არა, ჩემი მეუღლის ბაბუაც მშენებელი იყო. მაშინ მოსაშვილის ქუჩა ასეთი გადატვირთული არ იყო — ორი სამსართულიანი სახლი იდგა...

— თქვენი სიმაგრე ცნობილი მშენებელია?

— გორაკი ქემოკლიძე ადრე სამშენებლო ტრესტში მუშაობდა — ცნობილი ჰიდრომელიორაციის სამმართველოს მმართველის მოადგილე გახლდა და თბილისში კარგად იცნობენ...

— მაშასადამე, „ოცნების“ პირველ პირსა და თქვენს შორის რაღაც უხილავი ძაფი არსებობს...

— (სიტყვას ღიმილით მანყვეტინებს) არანაირი ძაფი... — **ბიძინა ივანიშვილი კოალიციაში დარჩენას, ალბათ, ამიტომაც ეთხოვდა...**

— არ ითხოვდა. ყველაფერი ეს მითქმა-მოთქმა და ჭორია...

— ჭორი რა შუაშია, როცა ირაკლი ალასანიამ თქვა, დათოსთან ვიყავი, როცა ივანიშვილმა დაურეკა და „ოცნებაში“ დარჩენა სთხოვა...

— საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობიდან რომ გადავდექი, რამდენიმე დღის მერე დამირეკა და ჩემი წასვლის გამო გულწრფელი ნუხილი გამობაჭა გამომდინარე იქიდან, რომ მჭიდრო თანამშრომლობა გვქონდა. ის პერიოდი ჩემთვის ძვირფასია და ვაფასებ... ივანიშვილი პირველად მაშინ ვნახე, როცა ირაკლი ალასანიამ თავისუფალი დემოკრატიების მთელი შემადგენლობა მასთან გასაცნობად მიგვიყვანა...

— მოკლედ, ივანიშვილმა მართლა რამდენჯერმე დაგირეკათ და გთხოვდათ, რომ ალასანიას არ გაყოლოდით და „ოცნებაში“ დარჩენილიყავით?

— არა, არა... სულ ერთხელ დამირეკა და მას შემდეგ აღარც მინახავს. მაშინაც, უბრალოდ, ნუხილი გამოთქვა, რომ პოსტს ვტოვებდი და არანაირი კუდი, რომელსაც მავანი ცდილობს მოაბას, არ ყოფილა...

— დღეს, როცა თავისუფალი დემოკრატია აღარ ხართ, ხომ არ თვლით, რომ ერთი წლის წინ ნაჩქარავი გადაწყვეტილება მიიღეთ და საგარეო უწყება არ უნდა დაგეტოვებინათ?

— მაშინ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა და, სიმართლე გითხრათ, ამას არც ველოდი, რადგან მთლიანად ჩემს საქმიანობაზე ვიყავი კონცენტრირებული — შენვეის მოლაპარაკებები, ასოციირების ხელშეკრულება, აშშ-საქართველოს ურთიერთობები.

— ჰოდა, პირველს სწორედ თქვენ უნდა გეგრძნოთ, რომ ხელისუფლება საგარეო კურსის შეცვლას აპირებდა...

— ფორმა, როგორც ირაკლია ალასანიას გათავისუფლება მოხდა, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო — თავდაცვის მინისტრი საფრანგეთში მნიშვნელოვან მოლაპარაკებებზე იმყოფება და ამ დროს მის თანამშრომლებს აკავებენ, რომლებიც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, აბსოლუტურად უდანაშაულონი არიან... ჩვენ, ყველას გაგვიჩნდა განცდა, რომ ყველაფერი სწორედ იმ მნიშვნელოვან მოლაპარაკებებს უკავშირდებოდა, რომელსაც თავდაცვის მინისტრი პარტნიორებთან აწარმოებდა...

— ერთი სიტყვით, თქვენ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე, გქონდათ განცდა, რომ ქვეყანა საგარეო კურსს იცვლიდა?

— დიახ, ეს განცდა, უფრო სწორად, გარკვეული კითხვები მქონდა...

— გარკვეული კითხვები დღესაც გაქვთ?

— შერეული გრძნობა მაქვს — მთლად მოხსნილი არაა, მაგრამ არ მინდა, ხელისუფლებას ყველაფერი, რაც მას შემდეგ განხორციელდა, დაუშკარვო. ვთქვით, კარგია, რომ ნატოს სანვრთნელი ცენტრი გაიხსნა და თავდაცვის მინისტრი შეიარაღებულს დააკავშირებინათ ირაკლი ალასანიას დაწყებულ მოლაპარაკებებს აგრძელებს, თუმცა ჩვენს ვეროპულ პარტნიორებთან დიალოგის გარკვეული ნაკლოვანების გრძნობა მაქვს. ხელისუფლება რუსეთთან ჩვენი პრობლემატიკის დაყენების უთხითაც პასიურობს.

— მეჩვენება, რომ წამოსვლას ნანობთ...

— არასოდეს არაფერს ვნანობ! ვიდრე რამე ნაბიჯს გადავდგამ, დიდხანს ვფიქრობ.

# რა აკავშირებს ალასანიასგან წასულ დავით ზალკალიანს პრემიერთან



— მაშინ დიდხანს ფიქრის დრო არ გქონდათ...

— დიახ, მაგრამ სინანულის გრძნობა არ მაქვს... 2009 წელსაც, ძალიან მტკივნეული გადაწყვეტილება გააზრებულად მივიღე — ჩემი საქმიანობა დაეტოვე, არადა, 47 წლის ვარ, აქედან ნახევარი დიპლომატიამი მაქვს გატარებული და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე პოლიტიკურ საქმიანობას დავინყებდი, მაგრამ მაშინაც ძალიან რთული სიტუაცია შეიქმნა და მთავარი, ვინც ჩემი გადაწყვეტილება განსაზღვრა, ლევან მიქელაძე იყო. ლევანთან ძალიან მნიშვნელოვანი წლები მაკავშირებს — 1992 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ლევან ალექსიძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმიყვანა და ლევან მიქელაძეც მაშინ გავიცანი...

— ბატონო დავით, ლევან მიქელაძესა და მის უცნაურ გარდაცვალებაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, მანამდე კი, ადასტურებთ, რომ თქვენს წამოსვლით თავისუფალი დემოკრატიების დაშლა დაიწყო?

— ლევან მიქელაძის ფონდის აღმასრულებელ დირექტორად 7 თვის წინ ამირჩიეს...

— ფონდში პარტიის სხვა წევრებიც არიან?

— არა, არა... ფონდი ლევან მიქელაძის ოჯახმა დააფუძნა. მრჩეველთა ბორდის წევრები კი აშშ-ს ყოფილი ელჩები — უილიამ ქორტნი, ქენეთ იალოვეცი და რიჩარდ მაილსი არიან...

— 7 თვის წინ ანუ ფონდის აღმასრულებელ დირექტორად არჩევითანავე იცოდით, რომ პარტიას დატოვებდით?

— დიახ, პარტიის ხელმძღვანელობას ვუთხარი, რომ პოლიტიკური საქმიანობის დასრულება მსურდა, რადგან ფოკუსირება მთლიანად ფონდზე გამეკეთებინა. სხვათა შორის, თავის დროზე პოლიტიკაში ლევანის გარდაცვალების მერე ნავედი, თუმცა მის სიტუაციაზე ვეტიურო კონსულტაცია მქონდა, მაშინ ბელარუსში ვიყავი ელჩი.

— როგორც ვიცით, 2007 წლის 7 ნოემბრის მერე, თქვენ, ვიქტორ დოლიძემ და კიდევ რამდენიმემ ელჩობის დატოვება გადაწყვიტეთ, მაგრამ ლევან მიქელაძემ გადაგაფიქრებინათ, ეს პოლიტიკური დემარში იქნებოდა...

— დიახ, ლევან მიქელაძემ ღირსეული ნაბიჯი გადადგა და თანამდებობა დატოვა. მაშინ ყველამ ვუთხარით, რომ თანამდებობებს ჩვენც დატოვებდით, მაგრამ ლევანმა კატეგორიულად გეთხოვა, დავრჩენილიყავით და ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ზიანი არ მიგვეყენებინა — ბელარუსიდან აღიარების პრობლემა მოდიოდა, ეუთო-შიც მნიშვნელოვანი თემები განიხილებოდა... მოგვიანებით, როცა ქვეყანაში მოვლენები დამარბილდა განვითარდა, იგივე, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და ის ფაქტი, რომ მაშინდელი ხელისუფლებამ დემოკრატიის კურსს მკვეთრად გადაუხვია, სხვა არჩევანის საშუალებას აღარ გვაძლევდა და რახან ლევანმა მიიღო გადაწყვეტილება, პოლიტიკაში წასულიყყო, დიპლომატიური საქმიანობა ჩვენც უყოყმანოდ დავეტოვეთ.

— ლევან მიქელაძის პოლიტიკაში წასვლა ფატალურად დამთავრდა... ბატონო დავით, იზიარებთ მოსაზრებას, რომ ის ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა?

— ეს ვერსია არსებობს, მაგრამ ძალიან მტკივნეული თემაა და არ მინდა, ჩაუფლრმავდეთ, თუმცა ძალიან ბევრი კითხვაა: სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მის ოჯახში ბოროტმოქმედი შეიჭრა და უსაიმოვნო პოლიცესები განვითარდა. ამაზე ძალიან ნერვიულობდა და განიცდიდა...

— ესე იგი, თავად ეჭვობდა, რომ სახლში ბოროტმოქმედის შეჭრა დაგეგმილი იყო?

— დიახ... ვინც ოჯახში შეიჭრა, ციხიდან რამდენიმე დღის გამოსული იყო და ამ საქმის ადვოკატს სერიოზული პრობლემები მქონდა.

— რას გულისხმობთ?

— მაშინდელი ხელისუფლება ამ საქმეზე სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა...

— გამოძიება დამთავრდა?

## რაცომ მიიღო პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება, ედაპირავება თუ არა თვა წუღუვიანს და რას ფიქრობს ღევან მიქელაძის უცნაურ გარდაცვალებაზე მისივე ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

— ის პიროვნება გაასამართლეს, მაგრამ კითხვები არის, ვინ შეუკვეთა.

— ლევან მიქელაძის გარდაცვალებაზე ბიძინა ივანიშვილთან ვისაუბრიათ?

— ხშირად...

— ოჯახი მიქელაძის მოულოდნელ გარდაცვალებაზე საუბრისგან თავს რატომ იკავებს?

— მტკივნეულია... ვფიქრობ, ამ თემით სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან უფრო სერიოზულად დაინტერესება შეიძლება...

— სამართალდამცავები მიქელაძის გარდაცვალებით უნდა დაინტერესდნენ თუ სიკვდილამდე მის ოჯახში ბოროტმოქმედის შეჭრით?

— ბოროტმოქმედის შეჭრა იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც შემკვეთის გამოვლენა.

— თავდასხმა ვის და რატომ უნდა დაეკვეთა?

— სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ ბევრი არ იცის, მაგრამ ლევანი უსერიოზულესი დიპლომატი გახლდათ და აშშ-სა თუ ევროპაში დღესაც ძალიან დიდ პატივს სცემენ. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში ის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, როცა 1999 წელს, სტამბოლის სამიტზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღეს... გარდა იმისა, რომ ლევანს საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდა, საქართველოში რომ დაბრუნდა და პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო, ჩვენს პოლიტიკურ ისტებლიშმენტშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა — შეეძლო, სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარი ძალები გაეერთიანებინა.

— მაშასადამე, ნაციონალები ლევან მიქელაძეს ერთგვარ საფრთხედ აღიქვამდნენ, არა?

— რასაკვირველია... მაშინ, ვახსოვთ, ოპოზიცია ძალიან დაქსაქსული იყო და არ არსებობდა ლიდერი, რომელიც გააერთიანებდა. ამ დროს პოლიტიკაში ლევანის შემოსვლა სწორედ ოპოზიციის გაერთიანებას ნიშნავდა.

— როგორც მახსოვს, თავისუფალი დემოკრატიებიც მისი ინიციატივით დაარსდა...

— დიახ... ვფიქრობ, მაშინდელი ხელისუფლებამ საფრთხე დაინახა.

— ესე იგი, არ არსებობდა მინიმალური შანსიც, რომ მიქელაძეს ნაცებთან ეთანამშრომლა?

— არც ერთ შემთხვევაში...

— ბატონო დავით, ვინაიდან პარტიული აღარ ხართ, შეძლება, ეს კითხვა არ უნდა დაგისვათ, მაგრამ როცა თავისუფალ დემოკრატებს ბრალს „ყოფილბრატან“ ფარულ ურთიერთობაში გდებენ, ამ ბრალდების გასაქარწყლებლად ლევან მიქელაძის ფაქტორს რატომ არ იშველიებთ?

— ლევანის სახელით სპეკულირება არ მინდა! ყველასთვის ცნობილია, რომ ლევანი ნაცმოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს დაუპირისპირდა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა პოლიტიკაში წასვლა, თორემ ხშირად გვისაუბრია, რომ პოლიტიკა მისთვის ძალიან მორი იყო. რაც შეეხება მთარულ ხმას, თითქოს თავისუფალი დემოკრატები ნაციონალებთან თანამშრომლობენ, ამის ფაქტი არ მაქვს, თორემ რომ მქონდეს, ხმამაღლა ვიტყვი და, რა თქმა უნდა, გაგაპროტესტებდი. უბრალოდ, გარკვეულ შემთხვევაში, როცა ოპოზიციაში ხარ, შენი გზავნილები იმ გზავნილებს ემთხვევა, რომელთაც ნაცმოძრაობა აჟღერებს, თუმცა ოპონენტებს ეს ეჭვი რომ გაუქარწყლო, სათქმელი ალბათ, უფრო მკაფიოდ უნდა თქვა.

— ალასანიას გუნდთან ამის ნიადაგზე უთანხმოება ხომ არ გქონდათ?

— არა. უბრალოდ, რაღაც კუდი მოაბეს...

— თავისუფალ დემოკრატებს მხოლოდ პოლიტიკურად გაემიჯნეთ თუ პიროვნულადაც?

— ისინი ჩემი მეგობრები არიან და როგორ შეიძლება, ვიკასთან, ბუკასა და ირაკლისთან ურთიერთობა გავწყვიტო?

— ჰოდა, მეჭორებისთვის საბაბი რომ არ მიგეცათ, 2016 წლის არჩევნები კარსაა მომდგარი და არ ჯობდა, პარტიაში კიდევ რამდენიმე თვე დარჩენილიყავით?

— ხომ გითხარით, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მინდა? თავისუფალი დემოკრატები ერთადერთი და უკანასკნელი პარტია იყო, რომლის წევრიც ვიყავი. პოლიტიკური საქმიანობა გარკვეულ დისკომფორტს მიქმნიდა, თან ფონდი დიდ დროს მოითხოვს...

დასასრული მე-4 გვერდზე



# რა აკავშირებს ალასანიასგან ნასულ დაპით ზალკალიანს პრეზიდენტთან

მე-3 გვერდიდან

**— ლევან მიქელაძის ფონდის მისია რა არის?**  
 — საგარეო პოლიტიკასა და გამონეგეგვებში მონიტორინგი, ანალიტიკური საქმიანობა, საგანმანათლებლო მუშაობა... ეს ფონდი ჩემამდეც საქმიანობდა, რომელსაც ლევან დოლიძე ხელმძღვანელობდა და რამდენიმე წარმატებული პროექტიც განახორციელა, თუმცა გარკვეული პერიოდი, ფონდი აქტიური აღარ იყო...

**— მეჩვენება, რომ ფონდი ირიბად თავისუფალი დემოკრატიების პოზიციებს ამყარებს, თუნდაც საგარეო თვალსაზრისით, ვცდები?**  
 — საგარეო კუთხით ჩვენი ღირებულებები, ფასეულობები და ხედვა, კი ბატონო, ერთმანეთს ემთხვევა. ლევანიც საქართველოს მომავალს სწორედ ევროატლანტიკურ სივრცეში ხედავდა და ფონდიც სწორედ ამ მიმართულებით საქმიანობს, იგივე, ვთქვათ, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ინპლემენტაციის მონიტორინგთან მიმართებაში. მაგალითად, ირანის ბირთვულ თემაზეც საინტერესო დისკუსიები გაუმართეთ. უახლოეს პერიოდში, სტუდენტებთან საქართველოს საგარეო პრიორიტეტებსა და გამონეგეგვებზე ლექციების კურსის დაწყებას ვაპირებთ...

**— ურიგო არ იქნება, თუკი ამ ლექციებზე დასწრებას ცალკეულ პოლიტიკოსებსაც აიძულებთ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში პრორუსული ფონდებ-ძალები აქტიურდებიან და ქუჩის აგრესიულ აქციებსაც მართავენ. მოკლედ, არ გინდათ, რომ ევროატლანტიკურ პოლიტიკას ლობირება უფრო აგრესიული ფორმებით გაუწიოთ?**

მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება მიუღებელი იყო.

**— ბატონო დაპით, ისევე ძველ ამბავს უნდა დავუბრუნდე — ერთი პერსონის მსგავსად, საგარეოდან წამოსვლით სოლიდარულ გაუგებრობაში ხომ არ აღმოჩნდით?**  
 — არა... ეს ჩემი არჩევანი იყო. ჩვენ ერთ გუნდად მოვედით — თავისუფალი დემოკრატიების წევრი ვიყავი და კოალიციაში ერთმანეთს ჩვენი პოზიციების წამოწევისა და გატანაში ვეხმარებოდით. საერთოდ, როცა ერთი გუნდით ხართ...

**— მომიტევეთ, ისევეც განვეყვინებთ, მაგრამ მიპასუხეთ: თავისუფალი დემოკრატიების ერთიანობაში ეჭვი არასოდეს შეგპარვიათ?**  
 — არასოდეს!

**— არადა, „ოცნებელებიდან“ არაერთიანობის პირველი მაგალითი სწორედ თავისუფალმა დემოკრატებმა აჩვენეს... თუა წულუკიანს არც თქვენ ელაპარაკებოთ?**  
 — როგორ არ ველაპარაკებო?!  
 — რა ვიცი, ამ ზაფხულს თუამ მითხრა, თავისუფალ დემოკრატებთან ურთიერთობა აღარ მაქვს, ერთმანეთს შეიძლება, ვინმეს პანაშვილზე შევხვდეთო...  
 — სიმართლე გითხრათ, კარგა ხანია, არ მინახავს, მაგრამ გაბუტული არავისზე ვარ და არ მგონია, მე და თუა რომ შევხვდეთ, ერთმანეთს არ დაველაპარაკოთ... თუკი შევხვდებით, კეთილად და ტკბილად გავისაუბრებთ...

**— ასეა თუ ისე, მაინც ვერ გავიგე, პარტიიდან წამოსასვლელად ლამის ნახევარი წელი რატომ დაგჭირდათ?**  
 — ამ ხნის განმავლობაში, 7 პროექტი დავწერეთ. ორ-სამ

**— ბატონო დაპით, ასოცირებაზე მუშაობა ნაცებმა დაიწყეს...**  
 — ასოცირების ხელშეკრულების ძალიან სერიოზული და რთული ნაწილი დაუსრულებელი იყო. ევროკავშირის წარმომადგენლებთან ძალიან რთული მოლაპარაკებები მქონდა. სხვათა შორის, გამიჩნდა განცდა, რომ წინა ხელისუფლებაში იყვნენ გარკვეული ძალები, რომელთაც ასოცირების ხელშეკრულების დროული დასრულება არ აინტერესებდათ ანუ იყვნენ ძალები, რომლებიც ევროპულ მოდელზე ლაპარაკობდნენ, სხვები კი, სინგაპურის, არადა, სინგაპურის მოდელი ევროკავშირში ინტეგრაციისთვის შეუთავსებელია...

**— მესხიერება თუ არ მალატობს, სინგაპურსა და დუბაიზე მიშა უბნობდა ხოლმე...**  
 — არა მხოლოდ მიშა, სხვებიც ლაპარაკობდნენ ანუ გარკვეულწილად ორმაგი სტანდარტი არსებობდა. ამიტომ, როცა დეტალებში ჩავიხედე, გამიჩნდა ეჭვი, რომ ამ პროცესის სწრაფად წარმართვის სურვილი არ არსებობდა...

**— რასაც ახლა გკითხავთ, არ გაგიკვირდეთ, ბატონო დაპით: ქართულ ცეკვებთან როგორ ხართ?**  
 — (იღიმება) კარგად.

**— შალახოც გეხერხებათ?**  
 — (სხევ იღიმება) ვხვდები, საუბარი სათიკენაც მიგყავთ... ისე, ბავშვობაში ვმღეროდი — თუ გახსოვთ, ტელევიზიით ზაალ კაკაბაძის სატელევიზიო ფილმი გადიოდა — სამი გოგო და მე იწოლა გურგულიას საბავშვო სიმღერებს ვასრულებდით. ეს ფილმი ჩემს თაობაში ძალიან პოპულარული იყო...

**— კეთილი, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე შალახო რამ დაგაკვირვებინათ? მთელი ნაცმოდინობა დაგცინოდათ...**  
 — ეს ჩვენი თვისაც სიურპრიზი იყო.

**— რა, შალახო „ჩაგიდეს“?**  
 — ეს მთლიანად ორგანიზატორების გადაწყვეტილება იყო — წინა დღით გვითხრეს, რომ ხელმოწერა მუსიკის ფონზე მოხდებოდა, მაგრამ ჩვენი პროტოკოლი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ეს მუსიკალური ფონი შალახო იქნებოდა. ისე, მოლოდინს ველოდები დარჩენი, რადგან მათ ბოშური მუსიკალური ფონი შეურჩიეს... ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან ქართულ მხარეს მონაწილეობა არ მიუღია და საორგანიზაციო საკითხები მთლიანად მასპინძლების, ასე ვთქვათ, კისერზე იყო. ასე რომ, ამით ყველა გახალისდა.

**— ...საკუთარ თავს რას ვერ აპატიებთ?**  
 — საკუთარ თავს მეგობრების, ღირებულებების ღალატს ვერ ვაპატიებ!

**— ...ბატონო დაპით, დიპლომატიები უცნაურებად ითვლებით. რატომ?**  
 — დიპლომატიის ბევრი დეფინიცია არსებობს. ასეთი გამოთქმაცაა, დიპლომატი არის ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ იტყუებაო.

**— ტყუილი გიყვართ?**  
 — არა. ძალიან გახსნილი ვარ და ჩემმა მეგობრებმა იცინან, რომ ზურგსუკან ლაპარაკი არ მიყვარს.

**— ზურგსუკან ლაპარაკს ჭორაობა ჰქვია...**  
 — სხვათა შორის, ჭორაობა დიპლომატებსაც უყვართ, რადგან ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. დიპლომატი-ში ბევრი რამ კულუარებში წყდება, ბევრ გადაწყვეტილებას კი პიროვნული ურთიერთობები განსაზღვრავს. წარმატებული დიპლომატი ისაა, ვისაც დიდი საურთიერთობო წრე აქვს... თუკი შენი კოლეგა დაინახავს, რომ მასთან გახსნილი ხარ, ურთიერთობაზე ადვილად მოდის და ხშირია, როცა ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება სწორედ კულუარული და პირადი საუბრის დონეზე მიიღება.

**— ასოცირების ხელშეკრულების დასრულების გარდა, როგორც დიპლომატს, ქვეყნისთვის კიდევ რა გაგიკეთებიათ?**  
 — ლევან მიქელაძისთან ერთად, ეუთო-ში, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებულ ძალებზე მოლაპარაკებები დავინწყეთ, რომელიც სტამბოლში, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანით დაგვირგვინდა. აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის დაწყების მოლაპარაკებაშიც აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული. უზბეკეთსა და ბელარუსში ელჩობის დროს კი, ცენტრალური აზიიდან საქართველოსკენ სატრანსპორტო კომუნიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პროექტები დაიძრა. ბელარუსის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არალიბარებაშიც ჩემი წვლილი მაქვს შეტანილი...

**— ბატონო დაპით, ლამის 50 წუთია, ვსაუბრობთ და ხელში რალაცას ათამაშებთ. ეს ჩვევაა თუ ნერვიულობა?**  
 — ჩვევაა...

**— ლევან მიქელაძის სულთან მართალი ხართ?**  
 — დიახ და მინდა, სიცოცხლის ბოლომდეც მართალი ვიყავო... როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, გონებაში ლევანს ვესაუბრები და ვფიქრობ, ის როგორ მოიქცეოდა. ყოველთვის ისეთ გადაწყვეტილებას ვიღებ, როგორ გადაწყვეტილებასაც ის მიიღებდა.

**— თქვენი გვარის წარმოშობის ისტორია იცით?**  
 — სვანეთიდან, სოფელ კალაღან ვართ...

**— კომუნიკაციის სფეროში ხართ?**  
 — (იცინის) არა... სახლი ლეჩხუმში, სოფელ ორბელიში მაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ვერ ჩავდივარ...

**— დიპლომატიაში გასვანებულხართ?**  
 — ხანდახან გასვანება და გაჭედვაც ვიცი...



— რეგონებში ვივლით და იმ მითებს გავფანტავთ, რომელსაც რუსული ფულით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ამკვიდრებენ.

**— ამ მხრივ უმთავრესი მითი ისაა, რომ დასავლეთი, განსაკუთრებით, აშშ ვერყვინის და ქართველობას გვართმევს. უცხოეთში არაერთი წელი გაატარეთ, ბატონო დაპით, იქაურებამ გაგარყვნათ?**  
 — არავითარ შემთხვევაში! ეს აბსოლუტური სისულელეა! პირიქით, ყველა ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირში განუერთიანდა, თავისი ტრადიცია და ღირებულება შეიტანა და ყველაფერმა ამან ევროკავშირი გაამრავალფეროვნა. ხელისუფლების მხრიდან მეტი კომუნიკაცია სჭირდება, რადგან საზოგადოებამ უკეთ გაიგოს იმ სიკეთეზე, რასაც ევროკავშირში განუერთიანება მოგვითმის.

**— ბატონო დაპით, 2 წელზე მეტი „ოცნების“ და, შესაბამისად, ხელისუფლების წევრი იყავით. ერთხელ მაინც არ შეგქმნიათ უხერხულობა, რომ თქვენი თანაკოალიციელები, ვთქვათ, გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე იყვნენ?**  
 — მაშინ რთული პერიოდი იყო და ყველა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გაერთიანდა.

**— ამ ლოგიკით, კოალიციაში გაერთიანება შესაძლოა, იგორ გიორგაძესაც მოესურვებინა...**  
 — იმ კოალიციაში, სადაც იგორ გიორგაძე იქნებოდა, თავისუფალი დემოკრატები ვერ გაერთიანდებოდნენ! მოგეხსენებათ, კოალიციაში შემავალმა პარტიებმა მემორანდუმი გავაფორმეთ, რომ ევროატლანტიკური კურსი ჩვენი მთავარი ღირებულებაა. მაშინაც, როცა კოალიციაში ვიყავით და მრევლებს მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადებები კეთდებოდა, თავისუფალი დემოკრატები ვემიჯნებოდით და კოალიციის შიგნითვე ვამბობდით, რომ კოალიციის ცალკეული წევრების

პროექტზე დონორებისგან თანამშრომლობის თანხმობაც მიღებული გვაქვს და დაფინანსებაც.

**— ამ დაფინანსებიდან რალაც ნაწილს თავისუფალ დემოკრატებს ხომ არ დაახარჯებთ?**  
 — არავითარ შემთხვევაში! ეს ყოველდღე დაუშვებელია! ჩვენი საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა პროექტზე, რომელსაც ვახორციელებთ, ანგარიშვალდებული დონორ ორგანიზაციებთან ვართ. პარტიიდან ჩემი წამოსვლის მიზეზი სწორედ ეს იყო, რომ რალაც კუდები არ მიბმობდა. თავისუფალ დემოკრატებთან ვიყავი რაფინირებული, რაც ფონდისთვის დონორების მოძებნაში გარკვეულწილად ხელს მიშლიდა — ეს კითხვა დონორსაც უჩნდებოდა.

**— რა ამის პასუხია და, ოცნება გიყვართ?**  
 — ზოგადად, ოცნება?  
 — დიახ, ოცნებობთ?  
 — (იცინის) ოცნებით ყველა ადამიანი ოცნებობს...  
 — რაზე ოცნებობთ?  
 — იმაზე ვოცნებობ, რომ ჩვენი შვილების თაობამ ის პერიოდი აღარ გაიაროს, რაც ჩვენ გავიარეთ და ნორმალურ ქვეყანაში იცხოვროს.

**— გახსოვთ, 2012 წელს გვპირდებოდით, რომ მეოთხე წელი საუკეთესო იქნებოდა. აი, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის მეოთხე წელიც დაიწყო, მაგრამ... კი ბატონო, აღარც ხელისუფლებაში ხართ და აღარც — პოლიტიკაში, მაგრამ ძველ დაპირებებზე, დაიჯერო, პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?**  
 — ჩემი მიმართულებით რაც გასაკეთებელი იყო, ვფიქრობ, საზოგადოების წინაშე პირნათელი ვარ. როცა საგარეო საქმეთა სამინისტროში მივედი და რაც გამოვიბარე, იგივე, ნატო-სთან ურთიერთობა, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა...



# მუხრან ბურჭულაძე: „მეუკლიათ, ქვაბივ მუსროლონ!“

ენიშო კომპანიი  
599-95-33-16

ცოტა ხნის წინ ნაციონალურ კიდევე ერთი წევრი, უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ნემო ბურჭულაძის შეიღო, მუხრან ბურჭულაძე გამოეყო და საკუთარი პარტიის — ლიბერალ-დემოკრატების შექმნა დააანონსა. უფროსი ბურჭულაძის სიმპათიები ნაციონალურების მიმართ დაფარული არასდროს ყოფილა. ხოლო კობა ხაბაზის „თავისუფალი ზონის“, ნიკა რურუას „ივერიის“, ზურაბ ჯვარციანის „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ შემდეგ, ცხადია, განდგა ლეგიტიმური კითხვა — მუხრან ბურჭულაძის ახალი პარტია ექსტრემისტული კიდევე ერთი ე.წ. სატელიტი ხომ არ იქნება? ამ და სხვა თემებზე „ვერსიამ“ ინტერვიუ მუხრან ბურჭულაძისთან ჩაწერა და გაარკვია, რომ ახალი პარტია თვითდაფინანსებაზე იქნება და მონაწილეობას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს.

— ბატონო მუხრან, ნაციონალურ მოძრაობაში 2012 წლის ბოლოს, მაშინ განვეყვედით, როცა პარტიიდან ყველა გარბოდა და მაშინ დატოვეთ, როცა გააქტიურება დაიწყო. ან მაშინ რატომ მიხვედით, ან ახლა რატომ წამოხვედით?

— 25 წელია, ქვეყანაში დამოუკიდებლობა მოიპოვა და ყველამ იცის, ჩემი ოჯახს ამაში რა წვლილიც მიუძღვის. აქტიური პოლიტიკიდან ყოველთვის განზე ვიდექი — სხვა თუ არაფერი, პოლიტიკამ ბავშვობა გამომწარა. ჩემთვის სიახლე არც პოლიტიკური დევნა და რეპრესიებია. აქამდე ჩემი პოლიტიკური აქტიურობა სოციალურ სივრცეს არ სცდებოდა, 2012 წელს კი რევანშისტებმა „პარმონიუ-რევილუცია“ მოაწვეეს, ხელისუფლება აიღეს და გადაწყვიტეს, მათთვის ხელი შეემშალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კონკრეტული საქმიანობა და სტატუსი სამსახური მქონდა, ნაციონალურ მოძრაობაში გავეწევრე. საქართველოს იმის ფუფუნება არ აქვს, ხალხი და პოლიტიკური საქმეები პოლუსებად დაიყოს. ჩვენი პოლიტიკური სისტემა კი ორპოლუსიანია, რაც ნეპოტიზმისა და ძალაუფლების მონოპოლიზების წყაროა. 2012 წლის შემდეგ კი, საფუძველი ერთი პოლუსის შექმნას ცერებოდა.

— და ეს რომ დინახეთ, „მეორე პოლუსზე“ ანუ ნაციონალურების მიმართ ანტიპათიის წახვედით? ახალი პარტია მაშინვე რატომ არ შექმნიდა?

— მაშინ გარემო ყველა იმდენად და მხოლოდ ერთი ცენტრი იქმნებოდა. ამიტომ ნაციონალურების მიხედვით იყო, ეს პოლიტიკური გაერთიანება რამენაირად გადაიმერჩინა. წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ნაციონალურების პარტია უფრო მოძრაობაა. მოძრაობები კი, როგორც წესი, დიდი კრიზისების გადასაჭრელად იქმნება ხოლმე. პოლიტიკურ გაერთიანებებს კონკრეტული პირობების მერ კანტილური ინტერესი კი არა, იდეა უნდა კრავდეს. ნაციონალურ ბევრი იდეა ჰქონდათ და ამ დიდი პოტენცი-ალის მქონე სუბიექტის იდეოლოგიურ პარტიად ქცევა მიზნდდა.

— გეგმობთ დიდი გქონათ, აი, მანსებზე კი რა ვითხრათ... მარ-თალია, პარტია დატოვეთ, მაგრამ ფიქრობთ, რომ ნაციონალურ-თან ასოცირებულ პირად არ დარჩებით?

— გლობალური პოლიტიკა პოლუსებს და სატელიტებს არ სცნობს. ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს ის დიდი პოლუსი, რომლის სატე-ლიტებიც ჩვენ ვიქნებით.

— ეს პოპულისტური პასუხია!

— მაშინ, თუ ასეა, მეგვიდრეობით ყველაზე მეტად ეროვნულ მოძრაობასთან ვარ ასოცირებული.

— ქვეყანაში 200 რეგისტრირებული პარტიაა და თავის დამ-კვირებას როგორ აპირებთ?

— სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ გაზაფხულს ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს, თუმცა 90-იანმა წლებმა გვანახა, რომ ეს სწორედ ასეა. რეალურად, ხალხი ისევე დახლეჩილი და გაკაფულია. მას კონკრეტუ-ლი პარტიების მხარდამჭერ ნაწილებად ყოფენ. მე არც „ნაცს“ ვცნობ, არც — „ქოცს“, არც — „მემარჯვენეს“. ვიცი ერთიანი, განუყოფელი ქართული ერი, რომელსაც განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. ჩვენ კი ვეგვიტ ხედავ, რომლითაც არაპოპულისტური პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარებას ვაპირებთ. სიმართლე გითხრათ, ვე-რასდროს ვაკადრებ ჩვენს ამომრჩეველს დაპირებას, რომ სახელმწი-ფო პირში ლუკმას ჩაჩრის, უფასო ლუკმას პირში მათხოვარს ჩრიან, მე კი დიდი ხელი ვიყავი.

— აბა, ხალხს ჰქონეთ, ამ სიციფეში გათბობის გადასახადის 20-ლარიან საშუალო ვაუჩერს როგორ ელოდებთ?

— იმიტომ, რომ დღეს ნებისმიერი პარტია ამომრჩეველს მარ-ქსისტულ უტოპიას პირდება. ამ უტოპიის გავლენის ქვეშ პარტიები თავდაცვლილი მოექცნენ და ცდილობენ, ამომრჩევის დღევანდელ მოთხოვნას მოერგონ. პირდაპირ ვამბობ: 20-ლიტრიანი „კანისტრით“ დიზელს არავის ვაჩუქებ. არც იმას ვიტყვი, რომ ვინმეს დენისა და გაზის გადასახადს გადაუხდის, რადგან ჩვენ გვჭირდება ძლიერი სა-შუალო ფენა, რომელიც საკუთარ მოთხოვნილებებს თავად დაიკმა-ყოფილებს. სხვათა შორის, ჩემი გამოსვლიდან და განცხადებებიდან რამდენიმე დღეში, ეს კონკრეტული მესიჯები სხვადასხვა ოპოზი-ციურმა ძალებმაც გააუფრეს. მიხარია, ასე რომ მოხდა, რადგან მაღალი სტანდარტები გადამდებია და რაც მეტი ძალა ჩაერთვება ამ თამაშში, მით უკეთესი. შევექმნით საკადრო პარტიას, რომელიც სწორედ საკადრო პოლიტიკაზე იქნება ორიენტირებული. ჩვენი მიზანი პროფესიონალურების გადამზადება იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ არ ვიქნებით ხელისუფლებაში, მაშინ მას პროფესიო-ნალი კადრებით მოვამარაგებთ. ჩემთვის სულერთია, ბულალტერი „ნაცია“, „ქოცი“ თუ სად ლოცულობს — მთავარია, ბულალტერმა კარგად თვალოს. ასეთი მიდგომა მაქვს და შესაბამისად, ყველა ხე-ლისუფლებასთან ვითანამშრომლებთ.

— სხვათა შორის, როცა ნაციონალურებში განვეყვედით, სა-ჯარო რეგისტრის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეცია-ლისტის პოსტიდან წულუკინმა გაგათავისუფლათ... ამ ქვეყანაში მალე სტანდარტების დამკვიდრებას როგორ აპირებთ?

— არ მინდა, ეს პრობლემა პიროვნულ დონეზე დავიყვანო. დაიხ, ცალსახად პოლიტიკური მოტივით გამათავისუფლეს და ამ თემას

## იქნება თუ არა ნაციონალურების საფედიცი, რაცომ მიაგოვა „მიშისცები“ და ვინ დააფინანსებს ნემო ბურჭულაძის შვიდის ახდ პარტიას

ძალიან მალე დაგუბრუნდები, უბრალოდ, არ მინდა, სამართლებრი-ვი დასკვნის დადებამდე, წინასწარი შეფასებები გავაკეთო. სწორედ ახლა მიდის მოლაპარაკებები იურიდიულ წრეებთან, ვაპირებ, ყვე-ლაფერ ამას სამართლებრივი შეფასება მოჰყვეს. მაშინ იუსტიციის მინისტრი გაეფართობილ, რომ პოლიტიკური დევნილი ერთხელ უკვე ვიყავი, მაშინ თავშესაფარი გერმანიაში მომცა და ვურჩიე, თუ პოლიტი-დევნილი კიდევ ერთხელ გავხდებოდი, ამით ვერაფერს მოიგებდა, თუმცა რჩევა არ გაითვალისწინა. ჩემი სარჩელი ინსტიტუციის წინააღმდეგ იქნება მიმართული და არა — პიროვნების, ისე ნამ-დვილად არ დავბატარავდები, „შპაგაობა“ კონკრეტულ ადამიანებს დაუწყესო. ეს იქნება გამარჯვება ინსტიტუციისათვის! რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვაპირებ მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, ამაზე პასუხი მარტივია — ჩემი განცხადებები რამდენიმე პარტიამ უკვე აიტაცა. ჩვენ კი ამ გზით სიარულს გავაგრძელებთ. ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა და ნამდვილად არ დავინეგებ იმის წამოხაზებას, თუ, ეს ხომ იმ პარტიაში იყო-მეთქი. განვითარების პერსპექტივას ყვე-ლას მივცემო, არც ნატურები, ოცნებები და ილუზიები არ მანულებს — ძალიან მკაფიო და არაპოპულისტური ეკონომიკური მიზნების გააქვრებას ვაპირებთ.

— მამათქვენის, ნემო ბურჭულაძის სიმპათიები ნაციონა-ლების მიმართ არავისთვისაა დაფარული. ისიც ითქვა, რომ ნაციონალურების მხარდასაჭერად ეროვნული მოძრაობის ძველი სახეების მობილიზება დაიწყო. პარტიულ საქმიანობაში ხელს არც ეს შეგიშლით?

— არ მინდა, რაღაც პარტიულ ჩარჩოებში მოვექცე. მამაჩემი ჩემს პარტიასთან, ისევე, როგორც ამ ეტაპზე პოლიტიკასთან, კავშირში არ არის. საქართველოს პირველი მონვევის პარლამენტის წევრე-ბიდან ბევრი გვეგულშემატკივრობს, მხარს გვიჭერს, მაგრამ ისინი ჩვენი პარტიის რიგებში არ იქნებიან — ახალი ენერგია და სახეები საჭირო. ხალხს მსგავსი სპეკულაციები უკვე ყელში ამოუვიდა. ერ-თხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ ნაკურთხ და ხელოვნურ ლიდერებზე და ღია კარის პოლიტიკა ვანარმოთ. აჯობებს, უფრო სერიოზულ თემებზე ვისაუბროთ და მამაჩემს პოლიტიკაში ნულარ გავრეოთ. მან თავისი როლი უკვე შეასრულა! ის, რაც მე გამოვიარე, დღევანდელი ხელისუფლების ნევრებსაც რომ გამოველოთ, შეიძლე-ბა, დღეს სახელმწიფოს ყველა დამაქცევარი ციხეში გამოვეკეტათ. მე კი ყოველგვარ რევანშიზმსა და რადიკალიზმს გამოვიციხავ და ყველას თანამშრომლობას ვთავაზობ.

— გამოდის, ე.წ. პოლიტიკური მინუსები არ გეყოლება და ყველასთან ითანამშრომლებთ — ნინო ბურჯანაძესთან, ნაციო-ნალურებთან, „ოცნებასთან“...



ტიკა და მიზნები სახელმწიფოს ინტერესებიდან უნდა ამოდიოდეს. ნითელი ხაზი გადის იქ, სადაც ვილაცის პოლიტიკა სახელმწიფოს ინტერესებს სცდება.

— ახლა კონკრეტულად ბურჯანაძეზე საუბრობთ?  
— იქ, სადაც ზღვარი ქვეყნის ინტერესებზე გადის, თანამშრომ-ლობაზე საუბარიც ზედმეტია.

— მითხარით, უფრო სერიოზულ თემებზე ვისაუბროთ, მე კი აქამდე „რუსთავი 2“-ზე, საარჩევნო კოდექსზე, ვადამდელ არჩევნებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე თქვენი პოზიცია არ მომიხმენია.

— სწორედ ამ თემებით სპეკულირებენ პარტიები და თავს ამით ჰყიდიან. საერთოდ, მედია, სასამართლო და პროკურატურა ის ინსტიტუტებია, რომლებსაც ყველა მომდევნო ხელისუფლება „პრაკატის“ ცხენით მოაჯდება ხოლმე. ამ ქვეყანაში აი, ეს უნდა დავასრულოთ. რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ფიქრობ, ეს არასწორია. არ მაქვს ილუზია, რომ 2016 წელს არჩევნები იდეალურ-რად ჩაივლის, მაგრამ ხელისუფლება ვადამდე არ უნდა შეიცვალოს და იმედია, ამაში ჩვენი დასავლელი მეგობრებიც დაგვეხმარებიან. „ოცნებამ“ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა 2012-2016 წლებში გან-ვითარებულ მოვლენებსა და იმაზე, რომ სახელმწიფო 2016 წლის არჩევნებამდე მშვიდობიანად მიიყვანოს. რაც შეეხება ინტერპარ-ტიულ ჯგუფს და მსგავს ფორმატებს, მონაწილეობას მივიღებთ კანონიერი და არარეგისტრირებული მიზნებისთვის ზრძოლად. ჩვენ პარტიულ პლურალიზმს ვემხრობით და ყველა ახალ ძალასთან სა-თანამშრომლოდ მზად ვართ, თუნდაც მასთან, ვინც ახლა იბადება, მაგალითად, „ახალი პოლიტიკური ცენტრი“.

— რომელიც ასევე ნაციონალურების განაყოფია. საუბარს იმით დავასრულებ, რითიც დავეყვ: კობა ხაბაზის „თავისუფალი ზო-ნა“, ნიკა რურუას „ივერია“, 4 გამოყოფილი ნაციონალი, „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ახლა თქვენც — ეს ხაზი პარტიულ პლურალიზმს კი არა, ნაციონალურების შენაკადებს უფრო ჰგავს.

— ეს პროცესების დამახინჯება და მინიმალიზება! იცით, ამაზე ფიქრით თავს არ ვიტვირთავ, ვისთანაც უნდათ, იმასთან ვასოცი-რდებოდე, ჩემთვის ეს პრობლემა არ წარმოადგენს. მთავარია, სწორი გზით ვიარო და შეუძლიათ, ამ გზაზე ქვებიც მესროლონ.

# NDI-ს ეპრაზიის პროგრამის დირექტორი კვლევის შედეგებზე განმარტებას აკეთებს

### ვინ ჩააფარა და როდის გამოქვეყნდება ადგენიდაციური კვლევა



მას შემდეგ, რაც NDI-ს ახალმა კვლევამ სრულიად ქართული პოლიტიკა შეაზანზარა, რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულმა რე-დაქციამ „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ ევრაზიის პროგრამის დირექტორ ლორა ჯუიტის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ჯუიტი კვლევაზე, რომელიც აგვისტო-სექტემბერში ქვეყ-ნის მასშტაბით ჩატარდა და 4500-მდე ინტერვიუს მოიცავს, ამ-ბობს, რომ კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ისე-ლი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე.

„ეს კვლევა პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი მმართველებისთვის წარმატების რეცეპტია. თუ პოლი-ტიკოსი ხართ, მოქალაქეებს უნდა ელაპარაკოთ სამუშაო ადგილებზე და უთხრათ, როგორ გააუმჯობესებთ სამუშაო გარემოს, ელაპარაკეთ გზებზე, წყალზე, გაზის მიწოდება-ზე... თუ პარტიები კვლევას ამ მიზნისთვის გამოიყენებენ, ეს ძალიან ფასეული ინფორმაცია შეიძლება იყოს“, — ამ-ბობს ინტერვიუში ჯუიტი, რომელიც აქცენტს იმ კრიტიკულ გამოხმაურებებზეც აკეთებს, რომელიც კვლევის გამოქვეყ-ნებამ მმართველი გუნდის ზოგიერთ წევრში გამოიწვია.

„ამ კრიტიკა ვსხდავ როგორც პოლიტიკური პოლიტი-კის ნაწილს. არიან ადამიანები, ვისაც მათთვის არახელსაყ-რელი შედეგების გამო კვლევა საჯაროდ გაუკრიტიკებია, შემდეგ კი პირადად კვლევაზე მეტი ინფორმაცია მოუთხო-ვია. ჩვენ გვესმის, რომ პოლიტიკური პროცესის ნაწილია ვი-ლაცებმა საჭიროდ ჩათვალონ იყვნენ კრიტიკულები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ინფორმაცია ბევრისთვის ღირებულია“, — აცხადებს NDI-ს ევრაზიის პროგრამის დირექტორი.

რაც შეეხება თავად კვლევას, კითხვაზე, ხვალ რომ საპარ-ლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ხმას რომელ პარტიას მისცემდით, რესპოდენტთა ხმები ასეა გადანაწილებული: „ქართულ ოცნებას“ მხარს გამოკითხულთა 11% დაუჭერდა,

ნაციონალურ მოძრაობას — 13%. ირაკლი ალასანიას „თავი-სუფალი დემოკრატები“ და „პატრიოტთა ალიანსი“ — 4-4%, ლეიბორისტული პარტია — 3%. ასევე, 3% მოდის კატეგორია-ზე — „სხვა“. კატეგორია „არ ვიცი“ აირჩია 35%-მა, „არც ერთი პარტია“ — 14%-მა, „უარი პასუხზე“ — 13%-მა.

კვლევის მიხედვითვე, ევროკავშირსა და ევრაზიის კავშირ-ში განვეყვანების მხარდამჭერთა პროცენტული მაჩვენებელი თანაბარია ანუ გამოკითხვის თანახმად, ევროკავშირსა და ევ-რაზიულ კავშირში განვეყვანებას მხარს 31-31% უჭერს. ასე-ვე, თანაბარი — 46-46%-ია იმ რესპოდენტთა რაოდენობაც, რომლებიც ამ ორგანიზაციებში განვეყვანების მხარდამჭერი არაა. თანაბარი ის პროცენტული მაჩვენებელიც, რომელიც მოდის კატეგორიაზე „არ ვიცი“ და 22-22%-ს შეადგენს.

შეკითხვაზე, ევროკავშირში განვეყვანებას უჭერთ თუ არა მხარს? — პასუხზე უარი განაცხადა 2%-მა, ევრაზიულ კავშირში განვეყვანების თაობაზე დასამულ შეკითხვასთან მიმართებაში კი — 1%-მა.

სხვათა შორის, NDI-ს ახალი კვლევა მხოლოდ „ოცნების“ ნევრებმა კი არა, არასაპარლამენტო ოპოზიციაშიც გააპრო-ტესტა. ყოველ შემთხვევაში, განდდა ინფორმაცია, რომ მალე აღტურნატიული კვლევა გამოქვეყნდება, რომელიც ქართული ორგანიზაციის მიერ ჩატარდა და რეალურ სურათს „დადებს“. ამის შესახებ განცხადება პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა გააკეთა და გამოკითხვის კითხვაც კი დაასახელა, ენდობით თუ არა NDI-სა და IRI-ს შედეგებს.

მოკლედ, წინ დიდი ამბები გველის, თუმცა რაც უნდა იყოს, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, „ეროვნულ დემოკრა-ტიული ინსტიტუტის“ ევრაზიის პროგრამის დირექტორის თქმისა არ იყოს, გამოკითხვის შედეგები უნდა გაითვალისწი-ნოს, რადგან არჩევნებამდე არცთუ დიდი დროა დარჩენილი. „ვერსიანიუსი“







მიუხედავად იმის, რომ საპარლამენტო ოპოზიცია თითქმის გამონაკლისად თვლის ცდილობდა, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ გადაეფარა, არაფერი გამოუვიდა. ფორუმმა უმაღლეს დონეზე ჩაიარა და რაც მთავარია, შედეგად იყო. საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი ლარიბაშვილი სტუმრებთან შეხვედრაზე არ მალავდა საქართველოს მზადყოფნას როგორც ინვესტიციების მიღებისა და ბიზნესმენტა ინტერესების დაცვის მხრივ, ისე საერთაშორისო პარტნიორობის მიმართულებით მზაობას.

„ამ ფორუმის დანიშნულება არის პეკინიდან ბრიუსელამდე ყველასთვის საერთო სარგებლის მოტანა. როგორც ვეროპის აღმოსავლეთით მდებარე უკიდურესი საზღვაო და სახმელეთო კარიბჭე, საქართველო იდეალურად უზრუნველყოფს აზიისკენ მიმავალ მარშრუტს. თქვენ ააგებთ ქვეყნებს შორის მეტად აუცილებელ ხიდებს და საფუძველს ჩაუყრით ხანგრძლივ მშენებლობის თანამშრომლობას. ნამდვილი პირველადობები სწორედ ბიზნესმენტა არიან, ხოლო ჩვენ, პოლიტიკოსები, როგორც წესი, თქვენს კვალს მივდევთ. დღეს შეკრებილი ოფიციალური პირების სახელით, ვდებ პირობას, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა უზრუნველყო თქვენი ინვესტიციების წარმატება და მხარი დაგიჭიროთ“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა საინვესტიციო ფორუმზე შეკრებილ ბიზნესმენტას.

პრემიერმა უკვე განხორციელებულ ინვესტიციებზე გააკეთა აქცენტი: „ტატა ჯგუფმა“ (ინდოეთი), Clean Energy Invest-მა (ნორვეგია) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ სულ ახლახან განახორციელეს 400 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია აჭარისწყლის პროექტში. კორეის წყლის რესურსების კორპორაცია და საქართველოს საპარტნიორო ფონდი განახორციელებენ ერთობლივად ინვესტიციას ნესკრაპეის მშენებლობაში. საქართველოში ფუნქციონირებს ტოიოტას (იაპონია) კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისი და დისტრიბუციის ცენტრი. კომპანიები Dhabhi Group და RAKIA (არაბეთის გაერთიანებული საამიროები) ახორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს სასტუმროების, უძრავი ქონებისა და სხვა პროექტებში. ბოლო 11 წლის განმავლობაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 18-ჯერ გაიზარდა, 310 ათასიდან 2003 წელს 5,5 მილიონამდე 2014 წელს. შარშან და შარშანწინ უცხოელ ტურისტთა რაოდენობამ გადააჭარბა საქართველოს მოსახლეობას. გამოვთქვამ იმედს, რომ, სხენებული ინიციატივების მსგავსად, დღევანდელი ღონისძიებაც გაუხსნის გზას ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას და გააღრმავებს თქვენს დაინტერესებას საქართველოში. პირადად მე გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობა გაინვესტირებს თქვენს პარტნიორობას და ყველა უცხოელ ინვესტორს სრულ მხარდაჭერას საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და ამოქმედების საქმეში. ბედნიერი ვარ, რომ აქ იმყოფებით. საქართველო არის სტაბილური, ძლიერი და ღია სახელმწიფო. ჩვენი თანამშრომლობა შედეგად მოიტანს მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას...“

კანონის უზენაესობა საქართველოში მტკიცეა და დღითიდღე ძლიერდება. ბიზნესთან დაკავშირებული დავები წყდება ხელისუფლების ჩარევის გარეშე — ეს იყო პრემიერის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი ბიზნესმენტებისადმი.

რალა თქმა უნდა, ღარიბაშვილს არც ვეროკავშირთან არსებული თანხმობის ვაჭრობის ზონა დაეინყებია.

„ჩვენ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, თურქეთსა და რუსეთთან, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-სა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ. ახლახან დაგვრედა ჩინეთიდან, და მალე ჩვენ შეიძლება გავხდეთ პირველი ევროპული ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს ჩინეთთან“, — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

„თბილისის აბრეშუმის გზის“ ფორუმის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუშნიშვილი, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრ აბდულ სატარ მურადს შეხვდა. შეხვედრაზე განხილული იყო საქართველო-ავღანეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები. აღინიშნა, რომ მხარეები დაინტერესდებიან ერთმანეთს გააღრმავებონ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სატრანზიტო ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროებში. ავღანეთის ეკონომიკის მინისტრმა სურვილი გამოთქვა, ავღანეთის ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, საინვესტიციო გარემოს გაცნობის მიზნით, ეწვიოს საქართველოს, ასევე, ადგილზე შეისწავლოს, როგორ დაძლია საქართველომ კოორდინაცია და ამ მიმართულებით საქართველოს გამოცდილება გაიზიაროს. შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს ამ მიზნით საქართველოში სასწავლო მისიის ორგანიზების შესაძლებლობაზე. შეხვედრის დასასრულს, მხარეები ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებაზე შეთანხმდნენ.

საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ სახით, საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. როგორც მინისტრმა ფორუმის შეფასებისას განაცხადა, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ღონისძიება, რომელიც საქართველოში ჩატარებულა: „ეს ფორუმი, პირველ რიგში, ემსახურება იმას, რომ საქართველო გახდეს ცნობადი, გახდეს კომფორტული ქვეყანა ინვესტორებისთვის. ბევრმა ადამიანმა არ იცის ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში არის სტაბილურობა, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და კანონის უზენაესობა. აბსოლუტურად რეალისტური გათვლებით, შესაძლებელია ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ავითვისებთ იმ პოტენციალს, რომელიც ნამდვილად არსებობს და ჩვენს კართან დგას, რამდენიმე პროცენტის დამატებით ზრდა უნდა მიიღოს საქართველო. ეს ყველაფერი პირველ რიგში, დამოკიდებულია ჩვენსა და რეგიონში არსებულ ვითარებაზე. დიდი იმედი მაქვს, რომ იმ დინამიკას, რომელიც აზიის ქვეყნებში არსებობს, საქართველო სათავისოდ გამოიყენებს. ამის სრული შესაძლებლობა არსებობს.“

# პეკინიდან ბრიუსელამდე



## ირაკლი ლარიბაშვილი: „აბრეშუმის გზის ფორუმი ყველასთვის სარგებლის მომცანია!“

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის გახსნის ღონისძიებაზე ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით ყირგიზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, ვალერი დილმა მიმართა: „ამჟამად ბევრი ქვეყანა ატარებს თავის პოლიტიკას იმისთვის, რომ ადგეს აბრეშუმის გზა, რაც თავისთავად განვითარებისა და ზრდის წინაპირობაა. ამისთვის საკმაოდ დიდი თანხები გამოიყოფა ბევრ ქვეყანაში. ყირგიზეთიც, თავისთავად, აპირებს მონაწილეობას ამ გზის აღდგენაში, რომ ახალი იმპულსი და შინაარსი მივანიჭოთ აბრეშუმის გზას. ამჟამად ევრაზიის სივრცეში იცვლება ვითარება, ქვეყნები ძალიან ბევრ საკითხზე მჭიდროდ თანამშრომლობენ, უფრო ახლოვდება მათი პოზიციები საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე და სხვა საკამათო საკითხებზეც. ხდება ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები და ურთიერთობები, რაც ხელს უწყობს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ამ ქვეყნებს შორის. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2015 წლის 12 აგვისტოს ყირგიზეთი გახდა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სრულყოფილი წევრი. ჩვენს გარდა, ამ კავშირში შედის ყაზახეთი, რუსეთი, ბელარუსი და სომხეთი. ამ კავშირის წევრობა ყირგიზეთის მისცემს ძალიან დიდ იმპულსს ეკონომიკური განვითარებისთვის და ის ხელს შეუწყობს სხვადასხვა ურთიერთობების გაძლიერებას წევრ ქვეყნებს შორის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ევრაზიულ კავშირსა და აბრეშუმის გზის კონცეფციები ერთმანეთს არ შეუნიშნავენ და პირიქით, მოხდება სხვადასხვა საკითხებზე შეთანხმება და ეს ერთმანეთს ხელს არ შეუშლის. ჩვენ თბილისში შევიკრიბეთ, რათა ვისაუბროთ ახალ კონცეფციაზე, რომელიც გამოთქმული იყო ჩინეთის რესპუბლიკის წარმომადგენლის, სი ძინძინის მიერ და ახლა ეს უკვე რეალურად ხორციელდება.“

დევიდ შარკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) გენერალური დირექტორის მოადგილე: „აბრეშუმის გზის ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, ისევე, როგორც ყველა ფორუმი, რომელიც ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება. პატარა ქვეყნებისთვის სხვა ქვეყნებთან ინტეგრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პატარა ქვეყნებს დიდი ბაზრები არ აქვთ, იმისთვის, რომ სრული პოტენციალი გამოიყენონ დამოუკიდებლად. აბრეშუმის გზის ქვეყნებს კი, ფორუმში შესაძლებლობა აძლევს, თანამშრომლობის უფრო გააღრმავება და აღნიშნული პროცესი დააჩქარონ. პირველი რაც საქართველომ გააკეთა საკუთარი ბაზრის გაფართოებისთვის, ეს იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა. ორგანიზაციაში შესვლიდან, 100-ზე მეტ ქვეყანასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა მოგვცა. გარდა ამისა, იმისთვის რომ გაიზარდოს ქვეყნის პოტენციალი, საჭიროა მოიხსნას ბარიერები საქართველოსა და მის მეზობლებს შორის. საქართველოს აქვს ღია საზღვარი და საბაჟო როგორც მგზავრებისთვის, ასევე ტვირთებისთვის.“

შოსხატ ზაკარი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიან-უიღურეთის ავტონომიური ოლქის გუბერნატორი: „აუცილებელია პოლიტიკისა და რეგულაციების გაძლიერება ისეთ სფეროში, როგორიცაა ვადასახადები, მინის რესურსებით სარგებლობა, როდუქტები, სტანდარტები და ა.შ. საბაჟო პროცედურები უნდა იყოს გამარტივებული, რათა ბიზნესმენს სხვადასხვა ქვეყანაში მარტივად შეეძლოს გადაადგილება და ბიზნესის წარმოება. ეფექტური პოლიტიკა ბარიერების აღმოფხვრის საშუალებას მოგვცემს და ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას. სინძიანი ჩინეთის ტერიტორიის ერთ მეექვსედზეა განლაგებული და ცენტრალური აზიის 8 ქვეყანას ესაზღვრება. 17 ა კლასის პორტი გვაქვს და 4 საერთაშორისო აეროპორტი, გვაქვს რკინიგზა, რომელიც უკავშირდება დასავლეთს, გავაჩნია გეოგრაფიული თვალსაზრისით კარგი მდებარეობა, კულტურის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ვართ. რაც შეეხება „შუალინგის“ ჯგუფს, მას გააჩნია გლობალური სტრატეგია, ის ძალიან ნაყოფიერად თანამშრომლობს აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნებთან. ეს არის ძალიან კარგი მაგალითი სხვა ბიზნესებისთვის ჩვენს პროვინციაში. ვინაიდან სინძიანს გააჩნია ყველა ეს უპირატესობა და საერთაშორისო თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება, ჩინეთის მთავრობამ მოახდინა სინძიანის ოლქის იდენტიფიცირება როგორც იმ ტერიტორიის, რომელიც იქნება საკვანძო ადგილი აბრეშუმის გზის განვითარების ხელშეწყობისთვის. ჩვენ ძალიან დაინტერესებულნი ვართ ამ ფორუმის წარმატებაში, ახლო მომავალში გვექნება ძალიან დისკუსიები როგორც საქართველოს მთავრობასთან, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებთან.“

ჰერნანდო დე სოტო, თავისუფლებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის (ILD) პრეზიდენტი: „ძალიან კარგი პანელი იყო. მსგავს პანელებზე ყველა კარგ თემზე აკეთებს აქცენტს. ყველას სურს რომ დაეხმაროს და ყველა ერთუზიანობით არის საქართველოს მიმართ განწყობილი. პანელზე საქართველოს მეგობრულ რჩევებს აძლევენ. ძალიან კარგი ატმოსფეროა.“

მაბარაქალ ნაჰაიანი, არაბეთის საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივი განვითარების მინისტრი, აბუ-დაბის გაერთიანებული ეროვნული ბანკის თავმჯდომარე და ალ-აინის უნივერსიტეტის რექტორი: „უპირველეს ყოვლისა, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაუხადო ბატონ პრემიერ-მინისტრს, რომ ის თავმჯდომარეობს ამ ძალიან მნიშვნელოვან ფორუმს, რომელიც გამოხატავს ზოგადად არა მხოლოდ აბრეშუმის გზის, არამედ ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების ხედვას. მინდა, მოგესალმოთ არაბეთის გაერთიანებული საამიროების სახელით. უაღრესად მოხარული ვარ, რომ ჩამოვყავი საქართველოში და ვარ თბილისში. ჩემი აზრით, საქართველოს ნამდვილად ძალიან კარგი შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ იყოს აბრეშუმის გზის განვითარების ხელშეწყობი და ცენტრი. რასაკვირველია, ვაჭრობის ხელშეწყობა უაღრესად მნიშვნელოვანია. აღმოფხვრილი უნდა იყოს ბარიერები, დასაკარგი დრო არ გვაქვს და არ უნდა შევიწყნოთ, ჩვენ არ უნდა შევანეროთ ამ მიმართულებით მუშაობა. ამავდროულად, ძალიან სასიამოვნოა, რომ გვექნება შესაძლებლობა, გავეცნოთ თქვენი ქვეყნის სილამაზესა და თქვენს სტუმართმოყვარეობას, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგი და სასიამოვნოა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ საქმეზე ჩამოვდებით, საკმაოდ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ყველაფერ იმას, რის გამოც აქ ვიმყოფებით დღეს.“

საქართველოს განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის არის ნამდვილად ევროპასა და აზიას შორის გზის გასაყარზე. ძალიან ბევრ მსგავსებას ვხედავ საქართველოსა და ჩემ ქვეყანას შორის. არაბეთის გაერთიანებული საამიროები არის საკმაოდ წარმატებული ქვეყანა, რომელმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრა, გამოიყენა თავისი გეოგრაფიული მდგომარეობა, ასევე საკმაოდ ცნობილია ჩვენი სტუმართმოყვარეობაც, ჩვენ ნებისმიერი რელიგიის, აღმსარებლობისა თუ კულტურის წარმომადგენელს აბსოლუტური სიხარულით ვხვდებით, ისინი თანახმად უფლებებით სარგებლობენ. მსგავსად ჩემი ქვეყნისა, საქართველოც სწორედ ასეთ გზაგასაყარზე იმყოფება. ის აერთიანებს სუბკონტინენტს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. აბრეშუმის გზა საქართველოს გავლით, რასაკვირველია, აკავშირებს ქვეყნებს კიდევ უფრო მოკლე სახმელეთო მარშრუტით. როგორც ინვესტორი, ნამდვილად ხაზი უნდა გავუსვა იმას, თუ რამდენად დიდი კოოპერატიული უპირატესობა აქვს საქართველოს მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. გარდა ამისა, მას გააჩნია ინფრასტრუქტურა, გზები, აეროპორტები, საზღვაო პორტები, ტელეკომუნიკაციები, ჯანდაცვა, საბანკო სექტორი, წარმოება, განათლება და, შესაბამისად, ნამდვილად შესაძლებელია, საქართველომ ყოველივე ეს შესთავაზოს იმ ბიზნესებს, რომლებიც დაინტერესდებიან იქნებინან ამ მარშრუტით სარგებლობა. რაც შეეხება ჩემს ქვეყანას, გეოგრაფიულად ისეთივე ხელსაყრელ მდგომარეობაში ვართ, როგორც საქართველო. როგორც მოგესხენებათ, ორმოცი წლის განმავლობაში ძალიან სწრაფი განვითარების გზა გავიარეთ, ეს შეუძლებელი იქნებოდა ძალიან ფრთხილი კვლევების, ექსპერტების რჩევისა და ზედმინივნი დაგეგმვის გარეშე. მზად ვიყავით, ბევრი რამ გვეცადა, მაგრამ ზუსტად ვიცოდით, რომ ჩვენი გეგმები და მიზნები უნდა ყოფილიყო საღი და რეალისტური. მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენეთ ექსპერტების დახმარება და მხარდაჭერა, რადგან თუ გვიწოდებ, ვყოფილიყავით გლობალურ გზაჯვარედინზე წარმოდგენილი ქვეყანა, უნდა გამოგვეყენებინა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც გააჩნია მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს. ვხედავ იგივეს საქართველოსთან მიმართებაში, მისი პოტენციალი გამოსაყენებელია.“

ირაკლი ლარიბაშვილი თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის მონაწილეებს ოფიციალურ ვახშამზე უმაჰსინძლა და საინტერესო განცხადებაზე გააკეთა: „დღეს, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ აბრეშუმის გზა გახდება ერთ-ერთი მთავარი მაშობრებელი ძალა მშენებლობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.“

იმედია, ფორუმის სასიკეთო შედეგებს საქართველო მალე იგრძნობს.



# ნაციონალური ხელისუფლების რუსული პნაზები

ბათო ჯაფარიძე

„არა გაზპრომს!“, „გაზპრომთან მოლაპარაკება სამშობლოს ღალატია!“, „რუსული კომპანია საქართველოს უშუქო და ცივ ზამთარს ჰპირდება!“ — ამგვარი მოწოდებებით 17 ოქტომბერს მთავრობის კანცელარიასთან ნაციონალურმა მოძრაობამ აქცია გამართა. მისი მთავარი მოთხოვნა ის იყო, რომ ხელისუფლებას სასწრაფოდ შეენეციტა ყოველგვარი მოლაპარაკება რუსეთთან და იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსული „გაზპრომი“ საქართველოს გაზს იაფად მისცემდა, გარიგებაზე უარი ეთქვა. ნაციონალები იხსენებდნენ 2006 წელს, როცა მილსადენზე აფეთქება მოხდა და საქართველოში ნავთის გასაყიდ ადგილებში რიგები დადგა, შემდეგ კი ალტერნატიული გზა მოიხსნა და გაზი აზერბაიჯანიდან წამოვიდა. არადა, ნაციონალებს ერთხელაც არ უხსენებიათ, რომ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში თავადაც არაერთხელ დააპირეს „გაზპრომისთვის“ მილსადენის მიყიდვა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:



## ვინ და როგორ გადაფიქრებინა ნაციონალებს გაზსადენის „გაზპრომისთვის“ მიყიდვა

2003 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობამ და „გაზპრომმა“ ხელი მოაწერეს მემორანდუმს 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, შევარდნაძის ადმინისტრაციამ მწვევე კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია ოპოზიციის მხრიდან, რომელსაც მიაჩნდა, რომ ეს შეთანხმება საფრთხეს შეუქმნიდა ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტს. რაღა თქმა უნდა, იმჟამინდელი ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობის წევრები აკრიტიკებდნენ და ამბობდნენ, რომ ამ გარიგებით შევარდნაძის ხელისუფლებამ რუსეთთან მონობას მოაწერა ხელი. იმავე წელს ე.წ. ვარდების რევოლუციამ მოხდა და ხელისუფლებაში ნაციონალები მოვიდნენ, თუმცა შევარდნაძის მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულება კი არ გააუქმეს, არამედ, იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მიეყიდათ მილსადენი „გაზპრომისთვის“ და სამართავად მთლიანად მათთვის გადაეცათ.

ცილისთვის ბუშმა ხელისუფლებას გაორმაგებული რაოდენობის მილიონები აჩუქა, კონტრაქტიც გააფორმებინა, რომ რამდენიმე წელი არა მარტო საქართველოსთვის, რეგიონისთვის სტრატეგიული მილსადენი არ გაიყიდებოდა და ამით „გადავრჩით“ — მაგისტრალის გაყიდვა რამდენიმე წლით გადაიდო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუშის ჩამოსვლის შემდეგ, ამ საკითხზე საუბარი შეწყდა. თავის მხრივ „გაზპრომის“ ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული მაგისტრალური გაზსადენის ექსპლოატაციისთვის ერთობლივი საწარმოს შექმნა არ აკმაყოფილებდა და მისი მთლიანად, უკიდურეს შემთხვევაში კი ნაწილობრივ შექმნა სურდა. ამის შემდეგ, ხელისუფლებამ გაზსადენს სტრატეგიული ობიექტის სტატუსი მოუხსნა და იმ ნუსხიდან ამოიღო, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება.

„იყო დრო, როცა კაშხლები, „თელასი“ და მსგავსი ტიპის ობიექტები სახელმწიფო საკუთრებაში არსებობდა და მოსახლეობას არც გაზი და არც ელექტროენერჯია მიეწოდებოდა. ქვეყანაში ენერგეტიკული პრობლემები სწორედ ამ ობიექტების პრივატიზების შემდეგ მოგვარდა. მომავალში შეიძლება, გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზებაც განხორციელდეს, რაც კანონისა და ქვეყნის ინტერესების დაცვით მოხდება“, — ეს განცხადება თავის დროზე პარლამენტარმა ლაშა თორდიაშვილმა გააკეთა და იქვე აღნიშნა, რომ ობიექტის „სტრატეგიულობაზე“ საუბარი მოძველებული მიდგომაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: მაშინ, როდესაც ექსპერტები ასაბუთებდნენ, რომ მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის შემთხვევაში, შესაძლოა, „შაშ-დენიზის“ გაზსადენს პრობლემები შექმნოდა, ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ამ საკითხზე თავისი პოზიცია ლიად დააფიქსირა და განაცხადა, რომ „ფეხებზე ჰკიდია შაშ-დენიზის გაზსადენი“.

„წინა წლებში, ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, ხელისუფლება თუ კიდევ მაგისტრალურ გაზსადენს იმ ობიექტების სიიდან ამოიღებდა, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, არ მეგონა. ჩვენ ისიც არ ვიცით, რას მოაწერა ხელი მიხეილ სააკაშვილმა სარკოზისთან შეხვედრისას. ამ კანონპროექტის შედეგად, ჩვენ შეიძლება დავსკვნათ, რომ ხელისუფლებამ ჩამოიხსნა ნილაბი, თუ ვის ანიჭებს უპირატესობას იმ განსხვავებული მოსაზრებების მქონე ცენტრიდან — ბენდუქიძეს თუ ვაშინგტონს. აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონზე უფრო ახლოს ჰყავს ბენდუქიძე, ხოლო ბენდუქიძე ვისი იდეების გამტარებელიცაა, ესეც ცხადია. ავტორებმა ამ კანონპროექტს უწოდეს — გაუმარჯოს მოსკოვს, ვივა პუტინი“, — ეს განცხადება მაშინ ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვას დაჟინებით მოითხოვდა. რუსეთთან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მან მთავრობა დაარწმუნა, რომ მაგისტრალური გაზსადენი უნდა გაყიდულიყო. მყიდველი კი, რა თქმა უნდა, „გაზპრომი“ იქნებოდა. „გაზპრომი“ გაზსადენში 300 მილიონი დოლარის გადახდას აპირებდა, თუმცა თბილისში აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგ ამ საკითხზე სიტყვა აღარავის დაუძრავს. ბენდუქიძე ამტკიცებდა, რომ მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია დიდ თანხას საჭიროებდა, რისი გაღებაც საქართველოს მწირ ბიუჯეტს არ შეეძლო. რეაბილიტა-

2005 წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობამ „გაზპრომს“ ერთობლივი საწარმოს შექმნა შესთავაზა, რომელიც საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია იქნებოდა და მას გაზსადენები მხოლოდ მართვის უფლებით გადაეცემოდა. ქართული მხარის მოსაზრებით, ერთობლივ საწარმოს, გაზსადენების მართვის გარდა, საქართველოს რეგიონებში გაზის სადისტრიბუციო ქსელის შექმნა და რეგიონების გაზომარაგება დავებოდა, თუმცა,

მაშინ ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ რამდენიმე სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის გაზსადენი, არის ბერკეტი რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად. ისინი ასაბუთებდნენ, რომ ეს მაგისტრალი შეიძლება რუსეთის საკუთარი შეიარაღებული ძალების შემოსაყვანადაც კი გამოეყენებინა, იმის მოტივირებით, რომ იგი საკუთარ ობიექტს იცავდა. ენერგეტიკის იმჟამინდელი მინისტრი ნიკა გილაური კატეგორიულად უარყოფდა, რომ გაზსადენის გაყიდვა იგეგმებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, მაშინ ნიკას თავში ნათქვამი (თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გილაურს კახა ბენდუქიძე მთავრობის სხდომებზე ჟურნალისტების თანდასწრებით დებილს ეძახდა) და მან პოზიცია შეცვალა.

## პერსონაჟები

### ე.წ. კასრების საქმეზე შსს და მთავარი პროკურატურა განხილვებს აპრესილებს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 17 ოქტომბერს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის მედიასაშუალებით გავრცელებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელება ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

ამასთან, ე.წ. კასრების საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებაზე ინფორმაცია მთავარმა პროკურატურამაც გავრცელა, რომლის თანახმადაც, ე.წ. კასრების საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი 11 პირი, რომელთაგან ორთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, ერთი ბრალდებული კი სასამართლომ გაამართლა.

„აღმოჩენილ ჩანაწერებთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წელს ორ პიროვნებას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და მიიყვანეს ზუგდიდის რაიონის ტყეში არსებულ სპეციალურად მოწყობილ კონსპირაციულ მიწურში, სადაც შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ მეგის ქარდავამ, ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა კობია კოდუამ, დავით ჩაგინავამ, თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ კობა თოდუამ და თეიმურაზ უბირიამ არარსებული ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მისაღებად სასტიკად სცემეს, გააშიშვლეს, დააბეს მაგიდაზე და აწამეს. ამის შემდეგ აღნიშნულ პირების ბოლომდე გატყვევის მიზნით მათზე განხორციელდა გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი ძალადობით. აღნიშნული სასტიკ ძალადობრივ ქმედებებს ვიდეოკამერით იღებდა კობია კოდუა. ნამებისა და სექსუალური ძალადობის ამსახველი ვიდეოფორები მტკიცებულების სახით დაერთო სისხლის სამართლის საქმეს და საქმესთან ერთად წარმართა არსებითად განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოში. საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მტკიცებულებები, მათ შორის ვიდეოფორები, გადაეცა დაცვის მხარესაც“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

მთავარი პროკურატურის ცნობით, „ამჟამად მსჯავრდებულები მეგის ქარდავა და კობია კოდუა იმყოფებიან მიმაღლაში და მათ მიმართ მიმდინარეობს საერთაშორისო ძებნა. ასევე საერთაშორისო ძებნა მიმდინარეობდა დავით ჩაგინავას მიმართ, რომელიც საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე დაკავებული იქნა საზღვარგარეთ და მოხდა მისი ექსტრადირება საქართველოში. განაჩენი ვასაჩივრებული ბრალდების მხარის მიერ და თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის განხილვა. ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივროს საფუძველზე რუსულან შამახიას გამოტყუებას, ასევე ნამებისა და გაუკუღმართებული ფორმით სექსობრივი კონტაქტის ძალადობით დამყარებაში მსჯავრდებულების სასჯელის დამძიმებას.“

„საქართველომ შესაძლოა ისეთი პირობები შესთავაზოს „გაზპრომს“, მათ შორის გაზსადენის საკმაოდ მაღალი ღირებულება და იმპორტირებული რუსული გაზის დაბალი ფასი, რომ რუსეთი არასოდეს დათანხმდება მათზე. უახლოეს პერიოდში ქართული მხარე „გაზპრომს“ წინადადებას გაუგზავნის გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სადაც დეტალურად იქნება განერილი გაზის მოწოდების რაოდენობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საფასური და რუსეთიდან საქართველოს გავლით გაზის სომხეთში ტრანზიტის ღირებულება ანუ მოლაპარაკებები რეალურია და არაფერი საგანგაშო არ არის“, — განაცხადა მაშინ გილაურმა.

„ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, დეტალებზე საუბრისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. „გაზპრომი“ არ მალავს, რომ კომპანია დაინტერესებულია საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შესყიდვით. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი იმ გაზსადენსაც შეიცავს, რომლის მეშვეობითაც გაზი საქართველოს რეგიონებს მიეწოდებათ, ასევე გაზსადენსაც, რომლითაც ხდება გაზის ტრანსპორტირება რუსეთიდან სომხეთში. დამკვირვებელთა თქმით, „გაზპრომი“ ძირითადად სატრანზიტო გაზსადენის ხელში ჩაგდებას ითხოვს და ინტერესებული“, — ეს სიტყვები 2005 წელს მიხეილ სააკაშვილმა იტალიურ გაზეთ „ლა სტამპას“ უთხრა. მაშინ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავდა მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებას, თუმცა როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხელისუფლებამ ეს პრობლემა „მარტივად“ გადაჭრა და გაზსადენი ამ ნუსხიდან ამოიღო. როცა ეს მოლაპატეობრივი გადაწყვეტილება მიიღეს, ნაციონალების რამდენიმე წევრსაც კი არ შერცხვა და განაცხადა, ეს ტექნიკური შეცდომა იყო, თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა. მაშინდელმა პარლამენტმა ხმების უმრავლესობით (5 დეპუტატი იყო მხოლოდ წინააღმდეგი) საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას წერტილი დაუსვა...

„ვეფიქრობ, ის ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რისი პრივატიზება არ შეიძლება, არ უნდა იყოს დატვირთული საწარმოებით. დედამინის ზურგზე არ არსებობს ისეთი საწარმო, რომელსაც სახელმწიფო უკეთ მართავს, ვიდრე — კერძო სექტორი.“



ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ Voice-ში მონაწილეობა პატიმარმა ქალმა, თეონა ყოლბაიამ მიიღო. მისი ნამღერით ყველა მოიხიბლა და თეონა შემდეგ ტურშიც გადავიდა. მან ლიად ისაუბრა ჩადენილ დანაშაულზე და ისიც აღიარა, რომ კანონდარღვევაზე შეყვარებულთან ერთად შეგნებულად წავიდა — სამართალდამცავებმა წყვილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს და ახლა ორივე სასჯელს იხდის. ყოლბაიამ ისიც თქვა, ქართველი ბონი და კლაიდი შეგვარქვეს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არისო. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როცა კაცები საქმეში ქალს იყენებენ და ამას ქალები ძირითადად სიყვარულის სახელით აკეთებენ, იშვიათად კი — ფულის გამო. ცნობისათვის: სახელმწიფო დაკავებულ ქართველ კრიმინალურ ბანდებში არცთუ იშვიათად ნახავთ ქალს, რომელსაც მარტივი რამ ევალება — კარზე უნდა დააკაკუნოს. ევროპელები ქალს კარს თითქმის ყოველთვის უღებენ. იშვიათად კრიმინალები საქმეში ცოლებსაც რევენ. ასეთ ფაქტებს თავად კანონიერი ქურდებიც კი გამობენ და ამბობენ, გინდა ქალი „პადდელნიკი“, კეთილი ინებე და „მურკა“ იშოვეო.

რუსთავის №17 დაწესებულებაში საგარეჯოელ გიორგას ყველა იცნობდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ 27 წელი ჰქონდა მისთვის და ირგვლივ ყველა და ყველაფერი ეკიდა, მეორე იმიტომ, რომ სერიოზული ბეგრადული ჰქონდა და ე.წ. ბლატა უდიდეს პატივს სცემდა, მესამე კი იმიტომ, რომ დაჭერამდე რომანი წინა ხელისუფლების ერთ-ერთ ძალიან გავლენიან ქალთან ჰქონდა რომანი და სწორედ იმ გავლენიან ქალის მეშვეობით მოხდა, რომ სამუდამო პატიმრობა არ მისცეს და მხოლოდ 27 წელი აკმარეს. ჰო, ის ქალი იმასაც დაპირდა, ცოტა მაკადე და მიშას შენს თავს შევანაყალებინებო. მართალია, მიშა ისე წავიდა, გიორგას შეწყალება ვერ მოასწრო, მაგრამ კოპაბიტაციის პირობებში, ახალმა პრეზიდენტმა შეინყალა და გიორგა ახლა ესპანეთის მზეს ეფიცება. ამბობენ, გავლენიანი ნაცნობი იქაც აკითხავსო, მაგრამ რამდენად მართალია, ვერ გეტყვით...

„გო, დღეს კარცერში წავიყვანენ, გუშინ ოფიცერს სანათესაო რომ მოუკითხე, ბრეგვაძე არ ყოფილა ადგილზე. დღეს მოვიდა „ნაჩალნიკი“ და ამბობენ, გიორგას გააკარცებენო. ჰოდა, მზად იყავი, 20 დღე ისე გაქვს გამონერილი, როგორც

ანაკრძალთაშვი

ნასიონალური ხელისუფლების რუსული ვნებები

მე-მ გვერდიდან

გამონაკლისები აქ არ არსებობს, რაც უნდა მასშტაბური იყოს ესა თუ ის საწარმო. შესაბამისად, ვფიქრობ, ყველაფერი, რაც უკავშირდება კერძო სექტორს, რაც უკავშირდება ბიზნესს, რაც უკავშირდება თუნდაც გაზით მომარაგებას, შეიძლება იყოს კერძო საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, კანონი ამ ნაწილში არანაირ შეზღუდვას არ უნდა ითვალისწინებდეს. ყოველთვის ძალიან სადავო იყო, თუ რას ნიშნავს „სტრატეგიული ობიექტი“. სად გადის ის ზღვარი, რომლის შემდეგაც ობიექტს ენიჭება სტრატეგიული სტატუსი. ვფიქრობ, ასეთი ობიექტი ბუნებაში არ არსებობს, რომელსაც სტრატეგიულობის გამო აუცილებლად სახელმწიფო უნდა მართავდეს და ასეთი ობიექტი არც ერთ ქვეყანაში არ არის. არ ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, თუ ვინ ფლობს მილსადენს. ამიტომაც, აქედან გამომდინარე, ამ საფრთხეებსაც ძალიან ხელეწიურად მივიჩნევ“, — ასე „გააპრავა“ ხელისუფლების მაქსიმალური გავლენით მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა, როგორც ცნობილი უნდა იყოს, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, პალიკო კუბლაშვილი.

ცნობისთვის: 2005 წელს საქართველოს სტუმრობდა რუსეთის კომპანია „ევრაზია-პოლიტექს“ პრეზიდენტი ალექსანდრ აბრამოვი. მან და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, „ევრაზია-პოლიტექსი“ ჭიათურის მარგანეცის საბადოები და ვარციხესის 132 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა. ამით ალტაცება ვერ დაფარა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და, აი, რა განაცხადა:

„მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ბატონი აბრამოვი აკეთებს ძალიან სერიოზულ განაცხადს, უპრეცედენტოს სხვა განაცხადებს შორის ინვესტიციების იმ მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც ჭიათურაში, ისე ზესტაფონში“.

იმავ დროს, რუსული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, თბილისში გამართულ შეხვედრებზე „გაზპრომს“ მაგისტრალური გაზსადენებისა და „თბილგაზის“ პრივატიზებაც შესთავაზეს. შესაბამისად, 300 და 100 მილიონ დოლარად. რუსეთის სახელმწიფო კომპანიის წარმომადგენლებს ფასი არ მოეწონათ და ქართველ პარტნიორებს მისი განახევრება მოსთხოვეს. არადა, დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ანალოგიური პროცესების წინააღმდეგ გამოდიოდა ამჟამინდელი ხელისუფლება და შევარდნაძის მთავრობას აკრიტიკებდა. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რუსეთს ფასი არ მოსწონდა, ხელისუფლება კი ერთი ყურით რუსულ მხარეს უსმენდა, მეორე ყური დასავლეთისკენ ჰქონდა მიპყრობილი და შემდგომში უკვე აპრობირებული მეთოდის დანერგვაც სწორედ მაშინ დაიწყო.

ამ პროცესების პარალელურად, დაიწყო დივერსიული „ომი“. ნაციონალების ინფორმაციით, 2004-2006 წლებში რუსეთის

როგორ გადაარჩინა 60 წლის ნასიონალმა ქალბატონმა ახალგაზრდა საყვარელი საშუალო პატიმრობას

ბონი და კლაიდი ქართულად



„სოფლის ცხოვრებას“ ინერდა ხალხი კომუნისტების დროს“, — უთხრა პატიმარმა №0578-მა საგარეჯოელ „კოლეგას“. „სოფლის ცხოვრება“?! ნაკითხული მაქვს. ვიცი რომ გამაკარგებენ, მაგრამ დაიკიდე, რა. თქვენ რა გეშვებებთ აქ, თორემ მე იქ დავისვენებ, სიმშვიდეში ვიქნები. ჩაი და სიგარეტი არ მომაკლდება და ოცი დღის შემდეგ ამოვალ“, — გაიღიმა გიორგამ.

„ჰო, 20 დღე აბანო არა, ნორმალური საქმელი არა, წვერის გაპარსვა არა, ფრჩხილების დაჭრა არა. დაისვენებ, აბა, რას იზამ“, — გაეცინა №0578-საც.

ზონის ეზოში ოთხი ოფიცერი შემოვიდა და მეგობრები მიხედნენ, რომ გიორგას წასაყვანად იყვნენ. მართლაც, საგარეჯოელთან მივიდნენ და კარცერისთვის გაემზადეო, უთხრეს.

„გადამრევთ, რა. ერთი გინების გამო როგორ მიმეტებთ... თან, რომ გესმით ეს გინება, მაშინ გეშვებებთ ნერვები, მაგრამ შინაგანად ხომ იცით, რომ თქვენი დანახვისას ყველა პატიმარი გულში იგინება. აი, თუ გინდათ, ამას ჰკითხეთ“, — უთხრა გიომ ოფიცრებს და №0578-ზე ანიშნა.

„მართალია ეს კაცი. როგორც თქვენ არ მოგწონთ კრიმინალები, ისე ჩვენ არ მოგწონს ოფიცრები. აქსიომაა, რომ პატიმრები გულში გაგინებენ“, — თავის ქნევით დაუღაბსტურა №0578-მა.

„ძალიან კარგი, შენც გაემზადე, ერთად წახვალთ კარცერში და უფრო მხიარულად იქნებით“, — გაუცინა ერთ-ერთმა ოფიცრმა და ნახევარ საათში გიომ და პატიმარი №0578 კარცერში მართლა ერთად შეყარეს.

„რა გულისხმიერი ხარ, გადავირი... მარტო არ გინდოდა კარცერში და მეც გამომიყოლე, ხო? კიდევ კარგი, მე ხუთი დღე მაკმარეს და 20 დღე არ მომიწევს შენის სიფათის ყურება“, — უთხრა №0578-მა გიოს და ფიცრებზე წამოწვა, თუმცა მაშინვე წამოჯდა, რადგან ფიცარზე ნამცეცები ეყარა.

„უნდა გავიგო, რომ ავალ, ბოლოს ვინ ჰყავდათ კარცერში, სალორესავით რომ დაუტოვებია აქაურობა“, — ბუზღუნით თქვა №0578-მა და ნამცეცები გადმოფრთხა.

ის ღამე მშვიდობიანად დასრულდა. დილით მეგობრებმა ჩაიდალიეს, მაყურებლების გამოგზავნილი სიგარეტი გააბოლეს და... არც არაფერი, ისხდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. ბოლოს, ხმა ისევ №0578-მა ამოიღო:

„შენზე სულ ამბობენ, ქალთან ერთად დაიჭირეს, მაგრამ ის ქალი არ განირაო და ვინ იყო, რომ ვერ გაიმეტე? იმის დანაშაულიც საკუთარ თავზე აიღო, ასე თქვეს“, — ჰკითხა №0578-მა.

„ჰო... რას არ გაიგებ ამ პატიმრებისგან... მართლა ქალთან ერთად დამიჭირეს, მაგრამ იმასთან არა, ვისთან ერთადაც დავრბოდი, ცოლთან ერთად ჩამავლეს შეცდომით და ცოლს ხომ არ გავუშვებდი სროკზე?!“ — შეიცხადა გიომ.

„ეგ როგორ, კაცი?!“ — გაოცდა №0578.

„როგორ და, მარტივად. ერთხელ, მაგარი მთვრალი ვეგდე თბილისში, სად წავსულიყავი, არ ვიცი. ვაგზალზე წავეხეტე, ვილაც ქალს ავეტორლიალე, უზარმაზარი, მსუქანი ქალი იყო, მახსოვს, დილით სადღაც ბოსლეში გამეღვიძა, არადა, სასტუმრო ერქვა, მერე გავიგე, ახალგაზრდა ქალი ტრიალებდა ოთახში. ვინ ხარ-მეთქი, ვკითხე და ნატა მქვიაო. თურმე, რომ დაუნახივარ, ჩემი სვირინგები შეუნიშნავს და გადარეულა, ეს უბრალო ვილაც არ იქნებაო. წამომიყვანა ამ სასტუმროში და სიყვარული შემომფიცა, შენს გარეშე სიცოცხლე არ მინდაო. ასე დავიმეგობრე ნატა და კარგი ვაჟკაცივით მედგა გვერდით. ყაჩაღობა გინდა, ქურდობა გინდა, ძარცვა გინდა... ნამალი შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა, ნემსის მუშინაო. იცი, რა გვგო იყო? საყაჩაღოდ რომ მივდიოდი, აქეთ ვამშვიდებდი, ვინმესთვის ყელი არ გამოქვრა...“

„ბონი და კლაიდი ყოფილხართ“, — გაეცინა №0578-ს.

„ეგ არ ვიცი, რა არის, მაგრამ სერიოზულად ვშუშობდით. მანქანა იყიდა, იმით დადიოდა, სოფელშიც უგზავნიდა თავისიანებს ფულს, მეც ვიყავი ერთხელ, წასული მაგათთან, საქმროაო, ასე გამაცნო ოჯახს. კახელი გლეხია მამამისი, კი მიხვდა, როგორი საქმროც ვიყავი, მაგრამ ხმა არ ამოუღია...“

„მაშინ ცოლი არ გყავდა?!“

„როგორ არ მყავდა, მაგრამ ვერ ხედებოდა თუ არ ხედე-ბოდა. გასული ვიყავი მთელი დღე და იცოდა, რომ ვიპარავდი. დაშლით კიდევ, მამაჩემმა ვერ დამიშალა და ცოლი რას დამიშლიდა?! მოკლედ, მყავდა ეს „მურკა“ მანამ, სანამ ჩემი ილიოტობით ახველა „სროკი“ არ გავიჩაჩიჩე“, — თავი ჩაღუნა გიომ.

„და რა მოხდა?!“

„შუა დღეს, ვაჟას ბოლოში, ბინა უნდა დაგვეყაჩაღებინა. ცოლმა დამირეკა, სამ საათზე ბავშვი ექიმთან უნდა იყოსო. კარგი-მეთქი, ბინაში ორის ნახევარზე უნდა შევსულიყავით. მანქანა ვაკეში გავაჩერებთ, მობილურები იქ დავტოვებთ და ჩვენ ტაქსით ვავიდე გავართავებთ. ყველაფერმა, ერთი შეხედვით, კარგად ჩაიარა, ბევრი არა, მაგრამ მთლიანობაში, ათი ათასამდე მოგვქონდა. გარეთ გამოსულები ტაქსი ჩავსხედით და ადგილამდე მივედით. ნატა თავის გზაზე წავიდა, ცოლს დავურეკე და იმან კიდევ, ვაკეში ვარო. სადაც მანქანა მყავდა გაჩერებული, იქ იყო კლინიკაც. თურმე, ეს მერე გავიგე, ის ტაქსისტი იქ კორპუსში ცხოვრობს. გაიგო ეს ამბავი და თქვა, მე წავიყვანე ქალი და კაციო. მოვიდა პატრული, დამადგა და ამომიგრიხა ხელები. ფანჯრიდან ცოლმა დამინახა და გამოვინთო, ჩემს ქმარს რას უჩრითო. აგერ, ეს ქალიც აქ არისო, არ დაიძახა ამ ტაქსისტმა და მომისვეს „დაბრასლებული“ ცოლი გვერდში. რა უნდა გვექნა, გაგვაქანეს პოლიციამო, ბავშვი კი დარჩა ექიმთან. კიდევ კარგი, გვიცნობდა, ჩვენც ავუხსენით პოლიციელებს და დედაჩემთან მიიყვანეს. ბოლომდე ჩემს თავზე ავიდე ყველაფერი, მერე იმ ტაქსისტსაც დაელაპარაკენ ჩემები და გადათქვა იმანაც, არ ყოფილა ეგ ქალიო. მე ნატა არ დავახსენე, ბოლომდე გავჩქედე. ყველა საქმე, სადაც ქალი და კაცი ფიგურირებდნენ, მე შემტენს და ასე გამოვიდა 27 წელი...“

„მოიცა, შენ ძალიან მარტივად ამთავრებ. აბა, ვილაც გავლენიანი ქალიო, ისაო, ესაო... იცოდა იმ ქალმა, საყვარელი გყავდა და მინც არ გაგნირა? არ არის ეგ ქალური ლოგიკა, რა...“

„ის ქალი 60-ზე მეტის არის, მგონი. ამიტომ, თვეში ერთხელ თუ შემეხმინებოდა. ისე ვიყავით, რა, ბებია და შვილიშვილივით, ზრუნავდა ჩემზე. ჰო, მაგის იმედად ვარ ახლაც და მეტი არაფერი მკითხო, თორემ ხმას აღარ გავცემ“, — თქვა გიომ და ფიცრებზე წამოგორდა. მერე ოფიცრებს შეაგინა და მიაყოლა, კიდევ 20 დღე თუ არ დამიმატოთ, თქვენი ისე და ასეო...

სპეცსამსახურების მიერ მომზადებულმა პირებმა განახორციელეს აფეთქებების სერია მაღალი ძაბვის ელექტროსადენებზე. თურმე, 2004 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმმა, დივერსიული ჯგუფი გაანადგურა. საგარეჯოელს, ეს ჯგუფი აფეთქებდა ელექტროგადამცემ ხაზებს. რუსეთის სპეცსამსახურებმა დაგეგმეს და განახორციელეს ტერორისტული აქტი გორში 2005 წლის 1 თებერვალს. ასევე, 2005-2006 წლებში, რუსეთის სამხედრო სადაზვერუო სამსახურის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქება.

აფეთქება გაზსადენზე 2006 წლის იანვარში მოხდა და საქართველო გაზის გარეშე დარჩა. ხელისუფლება ალტერნატიულ გზას ეძებდა და პარალელურად, მოსახლეობასა თუ დასავლელ პარტნიორებს უმტკიცებდა, რომ რუსეთმა ეს შეგნებულად გააკეთა. მაშინ დახმარების ხელი აზერბაიჯანმა გამოგვიწოდა და მიხელო სააკაშვილის თამადაობით, ნაციონალური მოძრაობის აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელი აცხადებდა, რომ რუსეთთან გაზის თემაზე მოლაპარაკებები აღარ გაიმართებოდა, ხელისუფლება უარს იტყობდა რუსულ გაზზე და ამით თავს დაიზღვევდა სამომავლოდ. გამოდიოდა, რომ მოსახლეობა მაღლიერი უნდა ყოფილიყო დივერსანტების, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობის რუსეთისგან პირი აბრუნებინეს და აზერბაიჯანულ გაზს „ჩაგვასულეს“.

და ბოლოს: „ჩვენ მივესალმებით ნებისმიერ ინვესტორს და ნებისმიერ კაპიტალს, მათ შორის, რუსულსაც, თუ ის ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. ჩვენ მოხარული ვართ, რომ საქართველოში ინვესტიციების შემოსვლისა და განთავსების თავისუფალი გარემოა. ქვეყანაში ბევრი რუსული კომპანია ოპერირებს, რომელთა 80% რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიებია. რუსულ ფულს სუნი არ უდის“, — გაგივირდებოდა და, ეს განცხადება საპარლამენტო ტრიბუნლიდან შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა გააკეთა.

და ეს მაშინ, როცა „უსუნო“ გაზის და ფულის მეხობზე ხელისუფლება პარალელურად დივერსანტებს დასდევდა და არაერთი სამაგალითოდ „წარმატებული“ სპეცოპერაციის შემდეგ, რუსეთის აგენტები, ტერორისტები, დივერსანტები და თუნდაც რუსულად მოსაუბრე ადამიანები რუსეთთან თანამშრომლობის სახელით გამოეკეტა ციხეებში.

დღეს კი სხვა რეალობა გვაქვს — „გაზპრომთან“ გეგმურ მოლაპარაკებებს ნაციონალები ქუჩაში აპროტესტებენ და ცდილობენ, არა მარტო მოსახლეობას შეაყარონ თვალში ნაცარი, არამედ, თავისი მავნებელი მოღვაწეობაც რუსული თემით მიჩქმალონ და გულბრყვილო ამომრჩევებს წინასაარჩევნოდ მორიგი პროპაგანდისტული სატყუარა „შეტეონ“.



საქსპ არჩევანი

სამართლიანობის აღდგენის საკითხი, უკრაინული მედიის მხრიდან შაბათს გავრცელებული ე.წ. კასრების კადრების შემდგომ, კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა, თუმცა წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გასწორებას, ჩანს, სერიოზულად არავინ ეკიდება. მაშინ, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი, თინა ხიდაშელი გავრცელებულ კადრებზე შეშფოთებას გამოთქვამს და წერს, რომ აღნიშნული ფაქტი აუცილებლად უნდა გამოიძიონ და სულ რომ FBI-ს დახმარება გახდეს საჭირო, საქმე უნდა გაიხსნასო, თინა ხიდაშელის სამინისტროში სწორედ წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გათვრებით არიან დაკავებულნი და დაზარალებული მოქალაქეებისთვის ზოდიშის მოხდის ნაცვლად, თავდაცვის სამინისტრო საქმის გარჩევას დაზარალებულთან სასამართლო დარბაზებში ცდილობს.

2015 წლის 19 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამართლე დიანა ფარქოსაძის ხელმძღვანელობით, სკანდალური სასამართლო სხდომა იწყება. მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მოპასუხე კი ი/მ კონსტანტინე ბერუაშვილი. „ვერსია“ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებით დაინტერესდა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, 2004 წლის განმავლობაში, დაიდო 5 მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულებიდან მხარეს წარმოადგენდა ი/მ „გიორგი ბერუაშვილი“, ი/მ „კონსტანტინე ბერუაშვილი“, ი/მ „ენრიკო ბერუაშვილი“ და ი/მ „თამაზი ბერუაშვილი“. 2004 წლის 18 აგვისტოს, №03/26 ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ი/მ „თამაზი ბერუაშვილი“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მომწოდებელს შემსყიდველისთვის უნდა მიეწოდებინა თეთრულის კომპლექტი, 8000 ერთეული. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენდა 94 400 ლარს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სრულად მიენიდა საქონელი, მაგრამ უწყებამ უარი განაცხადა ხელშეკრულების ღირებულების გადახდაზე. საქმეში არსებობს სასაქონლო ზედნადები, თუმცა არ არსებობს თანხის გადახდის დოკუმენტი. ამავე წლის 18 აგვისტოსვე, სამინისტროსთან, აგრეთვე გაფორმდა კიდევ ერთი ხელშეკრულება, №03/27, ამჯერად ი/მ „ენრიკო ბერუაშვილი“ მომსახურებით. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ლეიბის და ბალბის 4000 ერთეულის კომპლექტი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 96 000 ლარს. ი/მ „ენრიკო ბერუაშვილი“ მხრიდან თავდაცვის სამინისტროსთვის მიწოდებულ იქნა 83 600 ლარის ღირებულების საქონელი, რაც დასტურდება საქმეში არსებული სასაქონლო ზედნადებიდან. ი/მ „ენრიკო ბერუაშვილი“, დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, დარჩენილი 12 400 ლარის ღირებულების საქონელი, სამინისტროს მხოლოდ იმ გარემოებით ვერ მიანია, რომ არსებობდა კანონიერი მოლოდინი, შემსყიდველი მხარე, დროულად და ჯეროვნად დაფარავდა ხელშეკრულების საგნის სრულ ღირებულებას, რომელიც, თავის მხრივ, საქონლის შექენას და მიწოდებას უნდა მოხმარებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. 2004 წლის 18 აგვისტოს №03/26 და 2004 წლის 18 აგვისტოს №03/27 ხელშეკრულების საგნის ღირებულებასთან დაკავშირებით, საქმეში არსებობს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ არც ი/მ „თამაზი ბერუაშვილი“ და არც ი/მ „ენრიკო ბერუაშვილი“, განუული მომსახურების საფასური, თავდაცვის სამინისტროს მხრიდან, არ მიუღია. საქმეში არსებობს 2004 წლის 18 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის იმპაზინდელი მინისტრის, გიორგი ბარამიძის №596 წერილი, „სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის“ მიმართ. წერილში მოთხოვნილია ჯარისთვის აუცილებელი მატერიალური საშუალებების შექენა. 2005 წლის 21 იანვრის №611 წერილის თანახმად, „სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი“ აღნიშნავს, რომ ფონდს ი/მ ე. ბერიშვილისა და ი/მ თ. ბერუაშვილისთვის, მათ კუთვნილ ანგარიშებზე, თანხა არ გადაურიცხავს. შესაბამისად, 2004 წლის 18 აგვისტოს, №03/26 ხელშეკრულების საფუძველზე, სახელშეკრულებო ღირებულების თანხის გადახდა არ მომხდარა, რასაც არც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უარყოფს.

მიუხედავად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარის დამოკიდებულებისა, თანამშრომლობა გრძელდებოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პირადად კომუნიკაციის საფუძველზე, ახერხებდა მომწოდებელი მხარის დარწმუნებას, რომ ფინანსური ვალდებულებები, დროის მოკლე მონაკვეთში დაიფარებოდა. მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს შეიარაღებული ძალები არ დარჩენილიყო კონკრეტული საჭიროებებისა და მომსახურების გარეშე. სწორედ ამ გარემოებითა და გამოცდილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობები გაგრძელდა.

2004 წლის 26 ოქტომბერს, ი/მ „კონსტანტინე ბერუაშვილს“ და სამინისტროს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება №03/48. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქურთუკი და დათბუნებული შარვალი (800 ერთეულის კომპლექტი), სანჯი-მარი ლაბადა 900 ც. მალაყელიანი ფეხსაცმელი 400 ც და საძილე ტომარა 150 ც. ხელშეკრულების საერთო ღირებულებას შეადგენდა 140 000 ლარი. საქმეში არსებული საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების მიხედვით, ი/მ „კონსტანტინე ბერუაშვილი“ ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებიდან მხოლოდ 42 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება უზრუნველყო. ამასთან, 2004 წლის 27 ოქტომბერს, ი/მ „გიორგი ბერუაშვილი“ კიდევ ერთი №03/49 ხელშეკრულება დაიდო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 1000 ც. საძილე ტომარა. ხელშეკრულების ღირებულებას წარმოადგენდა 80 000 ათასი ლარი. იმ ურთიერთობის პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც



140 000 დარი, როგორც სამართლიანობის აღდგენის ფასი ხიდაშელის უწყებისთვის

თავდაცვის სამინისტრო დაზარალებული მოქალაქეების წინააღმდეგ

არსებობდა საჯარო უწყებასთან, ი/მ „გიორგი ბერუაშვილი“ მოთხოვნილი საქონელი თავდაცვის სამინისტროს აღარ მიანია და განმარტა, რომ, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესასრულებელი გააჩნდა სხვა, 2004 წლის 27 ოქტომბრამდე დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებები, 2004 წლის 27 ოქტომბრის №03/49 ხელშეკრულებით მიუწოდებელი საქონლის ღირებულება, უნდა გაქვითულიყო.

„ვერსია“ ი/მ კონსტანტინე ბერუაშვილის ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილს დაუკავშირდა და დღევანდელი სასამართლო პროცესის დეტალებით დაინტერესდა.

არჩილ კაიკაციშვილი, ადვოკატი: — 2015 წლის, 7 ივლისს კონსტანტინე ბერუაშვილს მიმართ სარჩელი აღძრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რითიც სამინისტრო ითხოვს 140 000 ლარის დაკისრებას, იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უწყების მიერ სამართლიანობის აღდგენას ხელი შეუწყოს და მენარმეებს, რომლებსაც უფრო მეტი საქონელი აქვთ შემოტანილი თავდაცვის სამინისტროსთვის, უსამართლოდ ექცევიან და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, სასამართლოს გზით, სურთ, დააკისრონ 140 000 ლარი, რაც რა თქმა უნდა, ყოველგვარი საფუძველს არის მოკლებული. მინისტრი ხიდაშელის 2015 წლის 11 ივნისის ბრძანებით, სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს არჩილ აბრამიას და ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მამუკა კაკალაშვილს მიენიჭა რწმუნებულება, რომ სამინისტროს ინტერესები სასამართლო სხდომაზე ასეთადაცხადონ. ჩვენი პოზიცია, მათ შორის სასამართლო ეტაპზე ასეთადაცხადონ ჩვენი წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მოთხოვნის ურთიერთგაქვითვით, ცალსახად დასტურდება ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი, თუმცა იგი რომც არ შემწყდარიყო, სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა არის ხანდაზმული. შესაბამისად, ჩვენ უარს ვაცხადებთ ვალდებულების შესრულებაზე. გაუგებარია, თუ რის საფუძველზე ითხოვს სამინისტრო 140000 ლარს, რადგანაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, თავდაცვის სამინისტროსთვის მიწოდებული აქვს 26 000 ლარის ღირებულების პროდუქცია, თანხა კი დღემდე არ არის გადახდილი. ვფიქრობთ, რომ სასამართლო ობიექტურად გაერკვევა ამ სამართალურ-თიერთობაში და არ დაუშვებს ინდენარმეების კიდევ უფრო უსამართლო მდგომარეობაში ჩაყენებას. 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ, ახალი ხელისუფლების უმთავრესი დანაშაულები მოქალაქეების მიმართ სამართლიანობის აღდგენა იყო. იქედან გამომდინარე, რომ სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ერთი უწყების ვალდებულება არ უნდა გახლდეთ, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აკისრია მაღალი საჯარო და სამართლებრივი ინტერესი, რათა უწყების შიგნით არსებული დარღვევები და წინამართლეობის პერიოდში ჩადენილი კანონწესრიგის მოქმედებები შეისწავლოს. სწორედ ასეთი მნიშვნელობის კატეგორიის საქმეებს განეკუთვნება კონსტანტინე ბერუაშვილის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ განხორციელებული ქმედებაც, რომელიც დღემდე სამართლიანობის აღდგენას, ქვეყანაშიც და უწყებაშიც შეცვლილ ახალ რეალობაშიც, უშედეგოდ ცდილობს. აქვე გვსურს გაცნობოთ, რომ საქმესთან დაკავშირებით, სამინისტროს მიმართ, 2014-2015 წლებში, არაერთი წერილი იქნა გაგზავნილი. საკითხთან დაკავშირებით, 2014 წლის დეკემბერში, მოხდა შეხვედრა სამინისტროს იურიდიული სამსახურის/დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. როგორც ოფიციალურ წერილებთან დაკავშირებით, ასევე შეხვედრაზე მიღებულ პირობას, რომ უწყება სიღრმისეულად შეისწავლიდა საკითხს, ამ დრომდე გამომხატურება არ მოჰყოლია. 2015 წლის ივნისში, საჩივრით მიმართული სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რათა საქმეზე ობიექტური მოკვლევა დაწყებულიყო. ჩვენ გვერინდა პოზიტიური შეხვედრა გენერალურ ინსპექციაში, სადაც საკითხი ესმით, მაგრამ აღნიშნავენ, რომ იურიდიული დეპარტამენტის მოქმედებები, საბოლოოდ წარმოაჩენს, ვინ არის მართალი. დეპარტამენტმაც სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ნაცვლად იმისა, რომ უწყება და უშუალოდ მინისტრი თინა ხიდაშელი, რომელიც ინფორმირებულია საქმის შესახებ, დაინტერესებულიყო გიორგი და კონსტანტინე ბერუაშვილების საკითხზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებებით, წინა ხელისუფლების და წინა მინისტრების პოლიტიკის შედეგად დაზარალებულების მიმართ, ფაქტობრივად, რეკეტული პოლიტიკა ან ასეთი პოლიტიკის გაგრძელება შემოგვთავაზა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა გიორგი და კონსტანტინე ბერუაშვილების მიმართ დავა საქმის ადმინისტრაციული ნუსით გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე დაიწყო. ჩვენთვის უცნობია, რა ლოგიკას და მიზანს ემსახურება წინა ხელისუფლების დროს დაზარალებული კონსტანტინე ბერუაშვილის მიმართ სამართალწარმოება, როდესაც მოთხოვნის საპირისპირო ვალდებულება უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ არსებობს. ვნახობ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო და რამდენად დამტკიცდება, რომ სასამართლო პოლიტიკური ნწყებისგან თავისუფალია.

პერსონალი

„არავის მივსამთ უფლებას, შეზღავნო მასწავლებლის პროფესიის ღირსება“

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე საჯარო სკოლებში ბავშვთა უფლებების დარღვევების შესახებ, გადაცემა „პროფილში“ გასულ მასალასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ აღმამფოთებელია გადაცემაში გაუქმებული თეზისი — „განათლების სამინისტრო ძალადობს პედაგოგებზე და შემდგომ, პედაგოგები ძალადობენ ბავშვებზე“.

15 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საავტორო გადაცემა „პროფილში“ საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად წარმოჩენილი იყო საჯარო სკოლებში ბავშვთა უფლებების დარღვევის შემთხვევები. მიგვაჩნია, რომ პრობლემა აქტუალურია და ბავშვებს შორის ძალადობის თითოეული შემთხვევა ტრაგედიაა არა მხოლოდ ბავშვის ოჯახის, არამედ მთლიანად საზოგადოების. თემა ძალიან სენსიტიურია და მოითხოვს ღრმა პროფესიულ ანალიზს. სამწუხაროდ, ბავშვებს შორის ძალადობის ერთ-ერთი ფაქტები იყო, არის და ალბათ მომავალშიც გავრცელდება. ვეთანხმებით გადაცემაში ავტორებს, რომ ამ მიმართულებით ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. თუმცა, ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ერთეული კრიმინალური შემთხვევები სისტემური დანაშაულია და დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისათვის განსაკუთრებით მიუღებელია გადაცემის ლაიტმოტივი, რომ ყველა შემთხვევაში დამნაშავეები არიან პედაგოგები და ბავშვებს შორის ძალადობა დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის. ასევე, გაუგებარია ჩვენთვის კატეგორიული მოთხოვნები მასწავლებლების განსჯისა და გათავისუფლების შესახებ, ცალმხრივად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოძიების დასრულებამდე. აღმამფოთებელია გადაცემაში გაუქმებული თეზისი — „განათლების სამინისტრო ძალადობს პედაგოგებზე და შემდგომ, პედაგოგები ძალადობენ ბავშვებზე“. ასეთი არაკვალიფიციური და დემაგოგიური ლოზუნგებით პრობლემა არ გადაიჭრება. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ერთეული პედაგოგების საქმიანობაში არ არის ნაკლოვანებები. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცალკეული პიროვნებების შეცდომების და დარღვევების განზოგადებას მთლიანად პედაგოგთა საზოგადოებაზე, რაც იწვევს მრავალაბასიანი მასწავლებელთა კორპუსის დისკრედიტაციას. საქართველოს მასწავლებლები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სკოლებში არსებული პრობლემების გამოსწორება პირველ რიგში დამოკიდებულია პედაგოგებზე. პედაგოგთა ავტორიტეტის შელახვა, მოძალადის იარაღის მინიჭება, არაობიექტური შეფასებები, ბოლო დროს ტენდენციური გახდა. არავის მივცემთ უფლებას, შეზღავნო მასწავლებლის პროფესიის ღირსება. მასწავლებლების უფლებების დაცვა არის სწორედ მოსწავლის უფლებების დაცვის წინაპირობა. ვის, თუ არა მასწავლებლებს სტკივა, ყველაზე მეტად, საკუთარი მოსწავლის პრობლემა. თვით გადაცემაში წარმოდგენილი ტრაგიკული შემთხვევაც კი, არ შეიძლება ვინმეს აძლევდეს უფლებას, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა საზოგადოება დამნაშავედ და მოძალადედ შერაცხოს. ჩვენ არ ვაპირებთ განათლების სამინისტროს ადვოკატირებას, მაგრამ ობიექტურადაა მოითხოვს, აღვნიშნოთ ის დანაშაულები, რომლებიც ტენდენციურად, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმის მიმართულებით მოსცილებულია. მარტო ის ფაქტი, რომ პედაგოგთა რეპრეზენტებისთვის შექმნილი მანდატურის სამსახური გარდაიქმნა, ასევე, მას დაემატა ფსიქოლოგის სამსახური, ნათლად მეტყველებს განათლების სამინისტროს ხედვებზე გადაცემა „პროფილში“ განხილული პრობლემების მიმართ. ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვა ყველა პრობლემის გადაჭრის საწინდარია“, — ნათქვამია განცხადებაში.

„მა“





# ეგლსმიჯაჭვული გენიოსის საიღუმლო – ვინ არის სინამდვილური და როგორ ააღაპარა მსოფლიო სტივენ ჰოკინგმა



## „ღმერთი არ არსებობს, დედამიწას საფრთხე უცხოპლანეტელებისა და კომპიუტერებისგან ემუქრება!“

ზედმეტად არაზუსტ მეცნიერებად მიაჩნდა. ოქსფორდში კი მათემატიკის ფაკულტეტი არ არსებობდა. საბოლოოდ, ფიზიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ იმ დროს გუნდს ბალური მათემატიკური კითხვები ამოეხსნა.

### რუსულან ხავთასი

„ღმერთი არ არსებობს, უფროხილდით უცხოპლანეტელებსა და კომპიუტერებს!“ — ამ სკანდალურ განცხადებას ბრიტანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი სტივენ ჰოკინგი ესპანურ გაზეთ El Pais-სთან ინტერვიუში აკეთებს და იქვე დასძენს, რომ დედამიწას არასახარბიელო მომავალი აქვს. მისივე თქმით, თუ ოდესმე მოინდომებენ, უცხოპლანეტელები დედამიწის უპრობლემოდ დაიპყრობენ. „განვითარებული უცხოპლანეტელები, შესაძლოა, „მომთაბარე“ რასა გახდეს, რომელიც ყველა იმ პლანეტის კოლონიზაციასა და დაპყრობას შეეცდება, ვინც კი გზად შეხვდება. ჩემი მათემატიკური აზროვნება მაიძულებს, უცხოპლანეტელებს სხვა, რაციონალური მხრიდან შევხედო — მთავარია, გავარკვიოთ, როგორ გამოიყურებიან ისინი, — აცხადებს ჰოკინგი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გაზრდაზეც საუბრობს და დარწმუნებულია, რომ მალე კომპიუტერები ადამიანებზე ბატონობას შეძლებენ, — „დაახლოებით, ასი წლის შემდეგ, კომპიუტერები ხელოვნური ინტელექტით ადამიანებს აჯობებენ“. სტივენ ჰოკინგი გადარჩენის ერთადერთ შანსს იმ ახალი პლანეტის ძებნაში ხედავს, სადაც შევძლება გადავსახლდეთ, რადგან დედამიწას ბუნებრივი კატასტროფისგან განადგურების რისკი დღითიდღე იზრდება. ამ სკანდალური, ცოტა სახიფათო და დამაფიქრებელი განცხადებების შემდეგ, ბევრს გაუჩნდება კითხვა, ვინ არის სტივენ ჰოკინგი და რატომ უნდა ვირწმუნოთ მისი პროგნოზი? ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე რომ ვთქვათ, სტივენ ჰოკინგის კვლევამ სამყაროს შექმნის შესახებ კოსმოლოგიაში რევოლუცია მოახდინა. ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოაზროვნეა კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა ცნობილი ფიზიკოს-თეორეტიკოსის ბიოგრაფიაში ბევრი მოულოდნელი მომენტიცაა.

### ჰოკინგი — ოროსანი „აინშტაინი“

ის შესანიშნავი გონების პატრონია. უამრავ ისეთ თეორიულ მუშაობას, რომლის გაგებაც ჩვეულებრივ ადამიანს გაუჭირდება და ეს ყველას უკვირს, რადგან სკოლაში უსაქმური იყო. რადიოებისა და სხვა ტექნიკის დაშლა მხოლოდ იმიტომ უყვარდა, რომ გაეგო, როგორ მუშაობდნენ, თუმცა როგორც იხსენებს, მათი აწყობა-შეკეთება არასოდეს ეხერხებოდა. კლასში ყველაზე ცუდი ნიშნები ჰქონდა, მაღალ ქულებამდე ვერასდროს აღწევდა. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებიც და თანაკლასელებიც გრძობდნენ, რომ მათ გვერდით გენიოსი იზრდებოდა, ამიტომაც ეძახდნენ „აინშტაინს“. მალე ამის გამო პრობლემა შეექმნა — მამას უნდოდა, სტივენს ოქსფორდში ესწავლა, თუმცა ოჯახს ფული არ ჰქონდა. აუცილებელი გახდა, უმაღლესი ქულები მიეღო და სტივენს დაეხმარებინა. ჰოკინგი, მოხდა საოცრება, სტივენმა ყველა გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა და ფიზიკაში უმაღლესი ქულაც აიღო. მამა — ფრენკი, ექიმი იყო და უნდოდა, შვილსაც მისი პროფესია აერჩია. სტივენს ბიოლოგია არ მოსწონდა, რადგან

### ინვალიდის სავარაუდო მიჯაჭვული გენიოსი

ოქსფორდში ბევრი მეგობარი არ ჰყავდა. თანაკურსელებისგანაც მარტოსულად გრძობდა თავს, ამიტომ გადაწყვიტა, ნიჩბოსნობის წრეზე ჩაწერილიყო. მართალია, ჰოკინგს ათლეტიკური აღნაგობა არ ჰქონდა, მაგრამ იმ დროს გუნდს სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც ნავის სვლასა და სიჩქარეს



გაკონტროლებდა. ამ გზით ბევრი მეგობარი შეიძინა და პოპულარულიც გახდა. ვარჯიში კვირაში ექვსჯერ იყო, ამიტომ ჰოკინგი სწავლას უფრო ნაკლებ დროს უთმობდა.

მოულოდნელად ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, რასაც მთელ ოჯახს უმაღლესი ზამთრის არდადეგებზე ექიმმა მამამ შეამჩნია შვილის უცნაური მდგომარეობა და მოითხოვა, გამოკვლევა ჩატარებინა. ექიმები ორი კვირა იკვლევდნენ მის ორგანიზმს და საბოლოოდ, დიაგნოზიც დაასვეს — მხრის ძვლის ამიოტროფიული სკლეროზი. ექიმები ირწმუნებოდნენ, რომ სულ რამდენიმე წლის სიცოცხლეა ჰქონდა დარჩენილი. სტივენს თავიდან შემოვთქვა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, მოცემული დრო მაქსიმალურად გამოეყენებინა. საავადმყოფოში ხედავდა მძიმედ დაავადებულ ბავშვებს და დაასკვნა, რომ მისი შემთხვევა არცთუ საშინელი იყო, როგორც ჩანდა. მას ცხოვრების კი აზრი მისცა გოგონამ, რომელიც საახალწლო წვეულებაზე გაიცნო და ცოლობაზე დათანხმდა.

### უსასრულო სამყარო და შავი ხვრელი

ჰოკინგის ერთ-ერთი მიღწევა, რომელშიც ჯიმ ჰარტლომიც მონაწილეობდა, იმ თეორიის ჩამოყალიბებაა, რომელიც ამტკიცებს, რომ სამყაროს საზღვრები არ აქვს. 1983 წელს, ისინი ცდილობდნენ, კვანტური მექანიკისა და აინშტაინის ფარდობითობის თეორიის დახმარებით გაეგოთ სამყაროს ფორმა და ბუნება. მათ დაადგინეს, რომ სამყაროს აქვს შინაარსი, თუმცა არ აქვს საზღვრები. უკეთ რომ ავხსნათ, წარმოვიდგინოთ დედამიწის ანუ სფერული ფორმის სამყარო. ჩვენ სფეროზე ვიდგებით და შეგვეძლება ნავიდეო, სადაც მოგვინდება, თუმცა ვერ შევხვდებით კუთხეებს, საზღვრებს ან ნაპირებს. მიუხედავად ამისა, მთავარი განსხვავება ისაა, რომ დედამიწის ზედაპირი ორგანოზომილებიანია, სამყარო კი — ოთხი. ჰოკინგი გვიხსნის, რომ სივრცე და

დრო ჰგავს დედამიწის განედის ხაზს სამხრეთ პოლუსიდან დაწყებული (სამყაროს დასაწყისი) სამხრეთისკენ გაგრძელებით, შემოწერილობა იზრდება ეკვატორამდე, შემდეგ კი მცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყარო შემოწარმულია დროისა და სივრცის ხაზით და ერთ დღეს ჩამოიფრევა, თუმცა ეს მხოლოდ ოცი მილიარდი წლის შემდეგაა მოსალოდნელი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ დროც სვლას უკან დაიწყებს? ეს კითხვა თვითონ ჰოკინგმა დასვა და გამოიკვლია. მისი აზრით, დროს უკან ათვლის მიზეზი არ არსებობს...

ოთხი ათეული წლის განმავლობაში, ჰოკინგის კვლევების მთავარი ობიექტები შავი ხვრელები იყო. ამ პერიოდში მათზე აზრი რამდენჯერმე შეიცვალა. 1974 წელს სანაძლეო დადო ფიზიკოს კიპ ტორნთან, რომ ობიექტი გედი X-1 შავი ხვრელი არ იყო. 1990 წელს კი ნიძლავის წაგება აღიარა. შვიდი წლის შემდეგ, ფიზიკოსი პროფესორ ჯონ პრესკილს შავ ხვრელში მოხვედრილი ინფორმაციის ბედის შესახებ ეკამათა. ამ კოსმოსური ობიექტის მიზიდულობის ძალა იმდენად დიდია, რომ ვერაფერი ენინააღმდეგება, თუმცა ის, რომ ყველა ინფორმაცია, რომელიც შავ ხვრელში ხვდება, იკარგება, ნინააღმდეგობაში მოდის კვანტურ ფიზიკასთან. სტივენს ამტკიცებდა, რომ მონაცემები უკვალოდ ქრება (ე.წ. ჰოკინგის პარადოქსი) პრესკილი კი იმ აზრს ემხრობოდა, რომ ისინი არსად იკარგებიან და უკან, სივრცეში ბრუნდებიან. 2004 წელს, სტივენმა ოპონენტის სიმართლე აღიარა. პრესკილმა განაცხადა, რომ სტივენის არგუმენტები ვერ გაიგო. მესამე მოკამათე კიპ ტორნი კი თავის აზრზე დარჩა.

საკუთარი კარიერის განმავლობაში ჰოკინგს უამრავი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის, ჯილდო დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიისგან, ოქროს მედალი რომის პაპისგან, ალბერტ აინშტაინის პრემია და ჰიუსის მედალი სამეფო საზოგადოებისგან. ჰოკინგი 1979 წელს დაინიშნა კემბრიჯში მათემატიკის პროფესორად და ამ პოსტს მომდევნო 30 წლის განმავლობაში დაიკავებს. ესაა პოსტი, რომელსაც ერთ დროს სერ ისააკ ნიუტონი იკავებდა.

1980 წელს ის ინგლისის კომანდორად შერაცხეს, რაც რაინდობის შემდეგ მეორე იერარქიაა. 2009 წელს ჰოკინგმა აშშ-ს უმაღლესი ჯილდო — პრეზიდენტის თავისუფლების მედალი მიიღო, თუმცა 12 უმაღლესი ჯილდოს მფლობელს, ნობელის პრემია ვერ კიდევ არ მიუღია.

### საბავშვო მწერალი

სტივენ ჰოკინგის ცხოვრებაში ერთ-ერთი მოულოდნელობა ისაა, რომ საბავშვო წიგნების ავტორია. 2007 წელს სტივენმა და მისმა ქალიშვილმა ლუსი ჰოკინგმა ერთად გამოსცეს წიგნი — „სამყაროს საიდუმლო გასაღები“. მისი მეორე ნაწილი — „ჯორჯის კოსმოსური ნადირობა განძებზე“ 2009 წელს გამოვიდა.



ეს ფანტასტიკური მოთხრობები ბევრი მისი სამეცნიერო ნამუშევრის ახსნაა ჩვეულებრივ, ბავშვურ ენაზე. სწორედ ესაა ჰოკინგის პოპულარობის საიდუმლო — სტივენს ხომ ყოველთვის ცდილობდა, სამეცნიერო მიღწევები ჩვეულებრივი ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე აეხსნა.

### მომზარება უწონადობაში

2007 წელს, 65 წლის ასაკში, ჰოკინგმა ოცნება აისრულა: უწონადობაში იმოგზაურა სპეციალური სკამის დახმარებით, რომელიც Zero Gravity-მ შექმნა. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სერვისს, რომელიც ადამიანს 25 წამით უწონადობაში მოხვედრის საშუალებას აძლევს. ჰოკინგმა, რომელიც ათწლეულების შემდეგ გათავისუფლდა ინვალიდის საავადმყოფოსგან, სალტოს გაკეთებაც შეძლო. ყველაზე საინტერესო კი ისაა, ყველაფერი ეს რისთვის გააკეთა. როდესაც ჰოკინგს — რაში სჭირდებოდა ეს გაფრენა, კოსმოსში მოგზაურობის სურვილი დასახელა, მაგრამ მას საამისოდ უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა. გლობალური დათბობისა თუ ატომური ომის გამო, მომავალში ადამიანებს მოუწევთ კოსმოსში გაიკვლიონ გზა. ჰოკინგი მხარს უჭერს კერძო კოსმოსურ გამოკვლევებს და იმედოვნებს, რომ კოსმოსური ტურიზმი მალე ჩვეულებრივი ამბავი იქნება და შეგვეძლება, სხვა პლანეტებზე ვიმოგზაუროთ. სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს ყველაზე პატარა ეგზოპლანეტა, სადაც, შესაძლოა, მომავალში ადამიანები დასახლდნენ.





1. მრავალ-ქმრიანობა									2. დათუხე სანადირო მსხვილი ტყვია						
3. უნერგული პოეტის მან-დორ ...	4. პოეზიის ეხერი	5. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში								6. წერილი, ნისლიანი წვიმა	7. რისამე შესასებ არსებულ მონაცემთა კრებული		8. ვარდენის ქალიშვილი „უდიპლომა სასიძოში“		
9. შეჯიბრების დაწყების მომენტი	10. მტაცებ. ძუძუმწოვარი ლათინურ ამერიკაში	11. წინასწარ გადასდილი თანხა								12. მაცხოვრის დედა კათოლიკურ კულტურაში	13. იზიდას ძმა და ქმარი		14. ინდიელთა საკულტო მცენარე		
													15. დარღვი-მანდიანის სახელი		
										17. ფრანგი ფილოსოფოსი			16. წინსართი, აღნიშნავს „მომდევნის“		
	18. ურეკლე II-ის ერთ-ერთი ძე	19. ჩაიკოვსკის ოპერა „ევეგენი“	20. აღტაცების გამოხატვა მქუხარე ტაშით										21. ეკლიანი ბალახი		
														22. შეზო-ლილი ხორცი	
	23. აზნაურის ტიტული ესპანეთში			24. სოფელი ყაზბეგის რაიონში	25. ორთავიანი მწვერვალი შვეიცარიის რაიონში					26. ქიმიური ელემენტი მეტალი	27. სომხეთის დედაქალაქი		28. ნორვეგიული დრამატურგი		
29. ეგვიპტის კუთვნილი ნახევარ-კუნძული				30. თოვლის კაცი				31. ამერიკელი მსახიობი	32. პლატონ სამანიშვილის მამა						
				33. ექსკურსი-ამ-ძილი	34. დონისეს კვერთხი	35. ბასკ ტერორისტთა ორგანიზაცია								36. მარტო მყოფი, მარტოვლა ბიჭი	
37. თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში	38. უილიამ თეკერის რომანი „ბაზარი“							39. სპეც. მაკრატელი მცენარეთა გასასვლად	40. ქართული ანბანის მე-17 ასო			41. ძველ-ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი	42. დაავადება სულის სუთვის შეტევებით		
				43. მხარე რუსეთში	44. სურამის უბანი	45. ადამის პირველი ცოლი (მითო-ლოც)					46. მდინარე ავარაკი				
48. მხატვ. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი				49. დედამიწის ქალღმერთი ბერძ. მით.				50. აზიის უგრძესი მდინარე	51. სასულიერო არაბეთის ნახევარ-კუნძულზე						
		52. ორგანიზაციის რეაქცია ძლიერ გაღიზიანებაზე								53. ასტრონომიის მუზა			54. იაპონური ავტომობილა		
55. კეთილი სული ევროპულ მი-თოლოგიაში	56. დიდი მხარობულა გველი			57. ძვირფასი სანადირო-სარწყაო ფრინველი						58. საარჩევნო ყუთი					
		59. მიმართვა ფრანგი მეფისადმი				60. იგივე, რაც ფინიში				61. სასახლე კრება ძველ საბერძნეთში	62. ტბა ირანში		63. არარატის სომხური სახელწოდება		
	64. თუთაშ-ნის და 65. თვალის გუგა				66. პერუს დედაქალაქი					67. საი-ლის წინ გამოშვებული კბილი		68. მამალი კვიცი	69. ხის ან მინის პატარა ჩხირი		
				70. (ძვ.) ჯარი, ლაშქარი	71. მაუგლის მეგობარი დათვი	72. გადაჭარბებული ქება-დიდება									
	73. მოსაცდელი დარბაზი თეატრში			74. (შემოკ.) მოკლე ტექსტური შეტყობინება				75. (ძვ.) სურნელოვანი ნივთიერება			76. ყირგიზეთის ისტორიული ქალაქი	77. პოლიფუნქციონირების მსახიობი – ფეროუ	78. სამშენებლო მასალა		
79. სარწყავად გაჭრილი პატარა არხი	80. ჩუქურთ-მიანი ქვა ბეჭედში				81. საგანთა ჩამონათვალი	82. გამადიდებელი შუშა				83. ბრინჯაო ძველ ქართულში					
				84. სოფელი თელავის რაიონში		85. ჯავშნიანი ქვეწარმავალი	86. ნახევარკუნძული რუსეთში, ციმბირის ჩრდილოეთში							87. პარიზის აუროპორტი	

## ჩახუცენისთვის კომპენსაციას ითხოვდა



54 წლის ამერიკელი ქალბატონი, ჯენიფერ კონელი ცდილობდა, 12 წლის ნათესავი ბიჭისთვის 120 ათას დოლარზე მეტი გამოეძალა, მიზეზად კი იმას ასახელებდა, რომ ბავშვი ჩახუცდა. ქალის თქმით, დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე ბიჭმა ისე მაგრად მოხვია ხელი, რომ დაეცა და მაჯა მოიტეხა. ქალმა სასამართლოში სარჩელი წელს შეიტანა და ბავშვისგან, რომელსაც დედა შარმან გარდაეცვალა, კომპენსაციად 127 ათას დოლარს ითხოვდა. თუმცა, მოსამართლემ ბავშვის მხარე დაიჭირა, ქალს უარი უთხრა და კონელის საქმე დაზურულად გამოცხადდა.

**ვერსია**  
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
 e-mail: versiaprinti@yahoo.com      www.versia.ge  
 UDC(უპკ)070.48:32(479.22)3-387

დაგზავნილი და მითმართი რედაქტორი  
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
 მიმდინარეობის: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
 გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.  
 სტილისტი – ნინო ებანოძე  
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე  
 ტელ: +995 32 294 23 99



დაცულია საავტორო უფლებები.  
 რედაქციაში შემოსული  
 მასალები უკან არ ბრუნდება.  
 სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა  
 და ინფორმაციის სიზუსტეზე  
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის  
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით  
 14 დღის განმავლობაში.